პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლიტერატურული საქართველო

№ 13 (1442), პარასკევი, 26 მარტი, 1965 წ. | საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის ორგანო | «ЛИТЕРАТУРУЛИ САКАРТВЕЛО» — ОРГАН ПРАВЛЕНИЯ СОЮЗА СОВЕТСКИХ ПИСАТЕЛЕЙ ГРУЗИИ | ფასი 10 კაპ.

პაველ ივანეს-ძე ბელიაევი და ალექსი არქიპის-ძე ლეონოვი უპასუხებენ მოსკოველთა მისალმებას.

კოსმოსური სიმფონია

კალე ბოზოხიძე

ამ ლექსის
ალერსი
ცის არის
და ფერიც
გაფრენილ
ისარის,
არც დარდი,
არც ვარდი,
არც ია...
ავარდა,
ნავარდით
გასწია.
არ აკრთობს
ამ მნათობს
ქარ-ყინვა;
ეშვება...
და ფრთებად
აქვს რკინა...
მოსულან —
მოსილნი
ალერსით,
და ვხვდებით
ვარდებით
და ლექსით...

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

1965 წლის 24 მარტს კრემლში გაიხსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი. პლენუმის დღის წესრიგშია:

1. სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების გადაუდებელი ღონისძიებანი (მომხსენებელი ამხ. ლ. ი. ბრეჟნევი).

2. კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა 1965 წლის 1-5 მარტის საკონსულტაციო შეხვედრის შედეგები. (მომხსენებელი ამხ. მ. ა. სუსლოვი).

პლენუმის დღის წესრიგის პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა პატივი სცა რუმინეთის სახალხო რესპუბლიკისა და საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწის, საბჭოთა კავშირის მეგობრის ამხანაგ გეორგე გეორგიუ-დეჟის ხსოვნას. მოკლე სიტყვა ამხანაგ გეორგიუ-დეჟის შესახებ წარმოთქვა ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მონაწილეებმა წუთიერი დუმილით სცეს პატივი ამხანაგ გეორგიუ-დეჟის ხსოვნას. ამხანაგ გეორგიუ-დეჟის დაკრძალვის საათებში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა შეწყვიტა მუშაობა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი სალამოს სხდომაზე განაგრძობდა მუშაობას. პლენუმზე დაიწყო ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენების განხილვა.

25 მარტს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი მუშაობას განაგრძობდა.

გრძელდებოდა განხილვა ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებისა — „სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების გადაუდებელი ღონისძიებანი“.

მოსკოვი აღფრთოვანებით შეეგება კოსმოსის გმირებს

მთელი მსოფლიო კვლავ გაოცდა და აღაფრთოვანა კოსმოსის დაუფლებაში საბჭოთა ხალხის მორიგმა უმაგალითო გამარჯვებამ. პ. ბელიაევისა და ა. ლეონოვის ისტორიულმა გაფრენამ, ხომალდ „აის-2“-დან ა. ლეონოვის გამოსვლამ კოსმოსში და თავისუფალმა ფრენამ ერთხელ კიდევ ნათელყო ჩვენი, სამამულო მეცნიერული აზროვნების, საბჭოთა ტექნიკის უდავო უპირატესობა.

ამიტომ იყო, რომ 23 მარტს ჩვენი ქვეყნის დედაქალაქი მოსკოვი ასე ზეიმით, უდიდესი სიხარულით შეხვდა პ. ბელიაევსა და კოსმოსის კოლუმბს ა. ლეონოვს.

მოსკოვი ჯერ კიდევ წინა დღით მოირთო სადღესასწაულოდ. ისტორიულ წითელ მოედანზე, დიდ შენობებზე ვ. ი. ლენინის, პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა პორტრეტები, წითელი დროშები, ტრანსპარანტები, პლაკატები, მოკავშირე რესპუბლიკათა სახელმწიფო ალმები და მისალმებებია, რომლებიც ადიდებენ მშობლიურ კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა ხალხს, კოსმოსის დამპყრობთ.

ვნუკოვოს აეროდრომისაკენ მიმავალ ლენინის პროსპექტზე და ქუჩებში დილიდანვე ზღვა ხალხი გამოვიდა გმირების შესახვედრად. საზეიმოდ გაფორმებულ აეროდრომზე მოვიდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრები და კანდიდატები, პარტიისა და მთავრობის სხვა ხელმძღვანელი ამხანაგები, გმირების მშობლები, ოჯახის წევრები და მეგობრები, დედაქალაქის სხვადასხვა ორგანიზაციათა წარმომადგენლები, საბჭოთა და უცხოეთის ჟურნალისტები.

რეაქტიულ გამანადგურებელთა საპატიო ესკორტის თანხლებით გამოჩნდა თვითმფრინავი „ილ-18“, რომელსაც გმირები მოყავდა. საჰაერო ლაინერი მსუბუქად დაეშვა ბეტონის ბილიკზე, აეროპორტთან მისრიალდა და გაჩერდა. კარი გაიღო და გამოჩნდნენ მამაცი კოსმონავტები. იქუხა ტაშმა. პ. ბელიაევი და ა. ლეონოვი მათთვის დაგებულ ფიანდაზზე მხნე, მტკიცე ნაბიჯებით გაემართნენ სპეციალურად მოწყობილი ტრიბუნისაკენ. მიუახლოვდნენ პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებს, პ. ბელიაევმა მათ პატაკი ჩააბარა. მან მოახსენა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმსა და საბჭოთა მთავრობას, რომ კოსმოსური ხომალდის ფრენა წარმატებით დამთავრდა, ხომალდიდან ადამიანის გასვლის ექსპერიმენტი შესრულებულია, ეკიპაჟი თავს ჩინებულად გრძნობს და მზად არის შეასრულოს პარტიისა და მთავრობის ყოველგვარი დავალება.

ლ. ი. ბრეჟნევი, ა. ნ. კოსიგინი, ა. ი. მიქოიანი და სხვა ამხანაგები, შემდეგ მშობლები, ახლობლები ეხვევიან კოსმოსის გმირებს და კოცნიან. გაისმის მქუხარე, ხანგრძლივი ტაში, მისალმებები, მამაც გმირებს სთავაზობენ ცოცხალი ყვავილების თაიგულებს... ორკესტრი უკრავს სსრ კავშირის სახელმწიფო ჰიმნს.

მანქანები წითელი მოედნისაკენ მიემართებიან. ლამაზად მორთულ ღია მანქანაში დგანან **პ. ბელიაევი** და **ა. ლეონოვი.** ქუჩაში გამოსული ასიათასობით მოსკოველი მხურვალედ ესალმებოდა ჩვენი სამშობლოს მამაც გმირებს — კოსმოსის დამპყრობლებს.

წითელ მოედანზე გაიმართა კოსმოსურ ხომალდ „აის-2“-ის ფრენის წარმატებით დამთავრებისადმი მიძღვნილი მიტინგი, რომელიც გახსნა **ნ. ვ. პოდგორნიმ.**

სიტყვებით გამოვიდნენ გმირი კოსმონავტები **პ. ბელიაევი** და **ა. ლეონოვი.**

მიტინგზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **ლ. ი. ბრეჟნევმა,** რომელსაც შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ.

* * *

იმავე დღეს კრემლის დიდ სასახლეში გაიმართა დარბაზობა იმ მეცნიერთა, კონსტრუქტორთა, ინჟინერთა, ტექნიკოსთა და მუშათა თვალსაჩინო გმირობის პატივსაცემად, რომლებმაც უზრუნველყვეს მსოფლიოში პირველი გასვლა ადამიანისა ხომალდიდან კოსმოსურ სივრცეში, როცა საბჭოთა ადამიანები მიფრინავდნენ თანამგზავრ ხომალდით „აისი-2“, კოსმონავტი გმირების პაველ ივანეს-ძე ბელიაევისა და ალექსი არქიპის-ძე ლეონოვის პატივსაცემად. დარბაზობა გამართეს სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და სსრ კავშირის მთავრობამ.

პაველ ბელიაევსა და ალექსი ლეონოვს მიესალმებიან კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელები **ლ. ი. ბრეჟნევი, გ. ი. ვორონოვი, ა. პ. კირილენკო, ა. ნ. კოსიგინი ნ. ვ. პოდგორნი, დ. ს. პოლიანსკი, მ. ა. სუსლოვი, პ. ე. შელესტი, ვ. ვ. გრიშინი, პ. ნ. დემიჩევი, ლ. ნ. ეფრემოვი, კ. ტ. მაზუროვი, ვ. პ. მჟავანაძე, შ. რ. რაშიდოვი, ლ. თ. ილიჩოვი, ბ. ნ. პონომარიოვი, ა. რ. რუდაკოვი, ვ. ნ. ტიტოვი.**

დარბაზობაზე არიან აგრეთვე სსრ კავშირის მინისტრები, სსრ კავშირის სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეები, საბჭოთა კავშირისა და გვარეობათა ჯარების მარშლები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები, საბჭოთა საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, საბჭოთა არმიის გენერლები, ადმირალები და ოფიცრები.

წაიკითხეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი.

საბჭოთა კავშირის გმირის წოდება, ლენინის ორდენი და მედალი ოქროს ვარსკვლავი, „სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავის“ წოდება ენიჭება ხომალდ „აის-2“-ის მეთაურს პ. ი. ბელიაევს. გრიალებს ტაში. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე მ. ხოლოვმა მეთაურის კიტელს მიამაგრა ლენინის ორდენი, მედალი „ოქროს ვარსკვლავი“ და „სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავის“ ნიშანი.

ა. ა. ლეონოვს, რომელმაც განახორციელა მსოფლიოში პირველი გასვლა ხომალდიდან კოსმოსურ სივრცეში, ენიჭება საბჭოთა კავშირის გმირის წოდება, ლენინის ორდენი და მედალი „ოქროს ვარსკვლავი“, აგრეთვე „სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავის წოდება“. მ. ხოლოვი ჯილდოებს გადასცემს ა. ა. ლეონოვს. კვლავ იმართება ოვაცია.

ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში დაიდგმება ორივე გმირის ბრინჯაოს ბიუსტები.

კოსმონავტები გულითად მადლობას უძღვნიან პარტიას, მთავრობას, ხალხს დიდი პატივისცემისათვის.

დარბაზობაზე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ **ა. ნ. კოსიგინმა** წარმოთქვა სიტყვა, რომელიც შეკრებილებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს.

სიხარულისა და გულითადობის ვითარებაში ჩაიარა ამ „კოსმოსურმა“ დარბაზობამ კრემლში.

მერიდიანებს ვარხევთ სიმებად

ბელიაევსა და ლეონოვს

ხომ ხედავ —
სივრცე შორ ხომალდეთა
ველარ გვაკავებს,
ველარ გვაკავებს,
რომ დაერია ჩვენი რაკეტა —
წიოკი უდგა ცაში ვარსკვლავებს...

ხომ გრძნობ,
ცის თაღი კიდევ მოღუნდა,
შორს, სამყაროში გზა იჭიმება,
დედამიწაზე,
როგორც ჩონგურზე,
მერიდიანებს ვარხევთ სიმებად.

ხომ გრძნობ,
ცის მგრი როგორ ასწიეს,
სივრცე გასკვეთეს წყვილი ორბივით
პლანეტა ფეხზე დადგა კაცივით...
მათ მისალმებად ხელაპყრობილი!..

გიორგი შეთეკაური

საქართველოს მხატვართა მეექვსე ყრილობა

19-20 მარტს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში მიმდინარეობდა საქართველოს მხატვართა VI ყრილობა.

ყრილობა მოკლე შესავალი სიტყვით გახსნა სსრ კავშირის სახალხო მხატვარმა, საქართველოს მხატვართა კავშირის გამგეობის საპატიო თავმჯდომარემ უჩა ჯაფარიძემ.

სიტყვა ეძლევა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანს დ. გ. სტურუას. მან წაიკითხა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმება რესპუბლიკის მხატვართა VI ყრილობისადმი.

ყრილობამ მოისმინა საქართველოს მხატვართა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის თავმჯდომარის ზ. ლეჟავას და სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის თ. სამსონაძის მოხსენებები.

შემდეგ გაიმართა კამათი. ტრიბუნაზე ერთმანეთს სცვლიდნენ თბილისის სამხატვრო აკადემიის რექტორი, საქართველოს სახალხო მხატვარი ა. ქუთათელაძე, საქართველოს მხატვართა კავშირის აფხაზეთის განყოფილების თავმჯდომარე, რესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე მ. ეშბა, საქართველოს მხატვართა კავშირის ქუთაისის განყოფილების თავმჯდომარე, რესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ვ. მიზანდარი, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს სახვითი ხელოვნების განყოფილების გამგე ო. კანდელაკი, საქართველოს მხატვართა კავშირის აჭარის განყოფილების თავმჯდომარე ლ. სეიდიშვილი, მხატვარი ა. ბანძელაძე, მოქანდაკე მ. თალაკვაძე, მხატვარი გ. დოლუზოვი.

სსრ კავშირის სახალხო მხატვარმა, საბჭოთა კავშირის სამხატვრო აკადემიის წევრმა, სსრ კავშირის მხატვართა კავშირის პირველმა მდივანმა ბ. ვ. იოგანსონმა საქართველოს მხატვრებს მოსკოველი კოლეგებისაგან გადასცა სალამი და დიდი შემოქმედებითი წარმატებანი უსურვა.

ყრილობას მიესალმნენ საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, პოეტი-აკადემიკოსი ი. აბაშიძე, უკრაინის მხატვართა წარმომადგენელი ი. ხმელნიცკი, საქართველოს თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარე, რესპუბლიკის სახალხო არტისტი დ. ანთაძე, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის მეომართა სახელით—პოლკოვნიკი პ. გრიდინი, ესტონეთის, ლატვიისა და ლიტვის წარმომადგენლები და სხვა.

ფოიეში მოწყობილი იყო საქართველოს მხატვართა გამოყენებითი ხელოვნების, გრაფიკისა და პლაკატის გამოფენა. ყრილობის მუშაობაში მონაწილეობდნენ ამხანაგები: გ. ა. გეგეშიძე, მ. ი. კუჩავა, ვ. პ. მჟავანაძე, პ. ა. როდიონოვი, დ. გ. სტურუა, ა. ტ. სტურჩენკო, გ. ს. ძოწენიძე, შ. ი. მანუყვაძე, გ. ი. ჩოგოვაძე, რ. ი. ფრუიძე, ო. ე. ჩერქეზია, ა. ნ. ინაური, შ. ა. ღოლიძე.

20 მარტს საღამოს გაიმართა ყრილობის დასკვნითი სხდომა. ფარული კენჭისყრით აირჩიეს საქართველოს მხატვართა კავშირის გამგეობისა და სარევიზიო კომისიის ახალი შემადგენლობა.

დელეგატთა და სტუმართა მქუხარე ტაშის გრიალში საქართველოს მხატვართა ყრილობამ მიიღო მისასალმებელი წერილი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი.

* * *

გაიმართა საქართველოს მხატვართა კავშირის ახლად არჩეული გამგეობის პირველი პლენუმი. პლენუმმა აირჩია მხატვართა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმი.

პლენუმმა საქართველოს მხატვართა კავშირის გამგეობის საპატიო თავმჯდომარედ აირჩია უჩა ჯაფარიძე, მხატვართა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის თავმჯდომარედ — ზ. ლეჟავა, თავმჯდომარის მოადგილეებად — ქ. მეძმარიაშვილი და თ. ღვინიაშვილი.

სარევიზიო კომისიამ კომისიის თავმჯდომარედ აირჩია შ. მიქატაძე.

საპატიო წოდებათა მინიჭება

ქართული სახვითი ხელოვნების განვითარებაში დამსახურებისათვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ჩვენი რესპუბლიკის მხატვრებს, მოქანდაკეებსა და ხელოვნებისმცოდნეებს მიენიჭათ საპატიო წოდებები:

საქართველოს სსრ სახალხო მხატვრისა: **ს. ნადარეიშვილს, კ. სანაძეს, რ. სტურუას.**

საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწისა: **თ. კახშარიანს, ი. ურუშაძეს.**

საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვრისა: **ე. ამაშუკელს, ე. ანდრონიკაშვილს, ი. არდიშვილს, ა. ბანძელაძეს, ა. ბერძენიშვილს, გ. გელოვანს, გ. გორდელაძეს, გ. გულისაშვილს, ა. ვეფხვაძეს, მ. თარიშვილს, რ. თარხან-მოურავს, გ. თოთიბაძეს, ე. კალანდაძეს, ვ. კოკოევს, მ. მერაბიშვილს, ნ. მეტონიძეს, ე. მეძმარიაშვილს, ზ. ნიჟარაძეს, გ. ოჩიაურს, ი. ოჩიაურს, ა. ფლენტს, ვ. ტოროტაძეს, ნ. ფილავანდიშვილს, გ. ფირცხალავას, გ. ქუთათელაძეს, თ. ღვინიაშვილს, თ. ყუბანეიშვილს, ა. შალიკაშვილს, გ. ჩირინაშვილს, ნ. ჩიქოვანს, კ. ჭანკვეტაძეს, დ. ხახუტაშვილს, ჯ. ხუნდაძეს.**

„ლიტერატურული საქართველოს“ მკითხველებთან

ამ დღეებში საქართველოს კპ თბილისის ორგანიზაციის პირველი მაისის რაიონულმა კომიტეტმა მოაწყო გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ მიმდინარე წლის ნომრების განხილვა.

განხილვა შესავალი სიტყვით გახსნა პირველი მაისის რაიკომის პირველმა მდივანმა ვ. გრიგალაშვილმა.

მოხსენებით — გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“ მიმდინარე წელს — გამოვიდა კრიტიკოსი აკ. ბაქრაძე.

მომხსენებელმა დაწვრილებით გაარჩია გაზეთში გამოქვეყნებული ნაწარმოებები.

„ლიტერატურულ საქართველოში“ დაბეჭდილ ნაწარმოებებზე ილაპარაკეს: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა გ. მარუაშვილმა, მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ არ. მჭედლიძემ, მეტრომშენის კომუნისტური შრომის ბრიგადის ბრიგადირმა თ. ვაშაძემ, თბილისის 24-ე სკოლის დირექტორმა უ. მეტრეველმა და რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა ი. ტრიპოლსკიმ.

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანმა, გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქტორმა ი. ნონეშვილმა. მან ილაპარაკა გაზეთის მომავალ გეგმებსა და ამოცანებზე, მადლობა გადაუხადა განხილვის ინიციატორებსა და მონაწილეებს.

დასასრულ სანკულტურის თეატრმა დამსწრეთ უჩვენა ა. გრუზინსკის პიესა „ბრალდებული“. პიესა დადგა ვ. მაღლაფერიძემ, მხატვარია ივ. ასკურავა. როლებს ასრულებდნენ ტ. მეძმარიაშვილი, შ. ნარსია, გ. ცაგარეიშვილი, ა. ხვედელიძე, ვ. სანაძე, ვ. გოზალიშვილი და ე. გელოვანი.

კონკურსი ვაჟა-ფშაველას ძეგლზე

თბილისის საქალაქო საბჭომ გამოაცხადა ღია კონკურსი დიდი ქართველი პოეტის ვაჟა-ფშაველას ძეგლის ასაგებად.

საკონკურსო მასალების წარდგენის უკანასკნელი ვადაა 1 დეკემბერი, ხოლო ერთი კვირის შემდეგ გაიმართება ამ მასალების გამოფენა საერთო გაცნობისათვის. ჟიურის დადგენილება პრემიების მინიჭების შესახებ გამოქვეყნდება 25 დეკემბერს. სულ განსაზღვრულია 6 პრემია. მათ შორის, ერთი პირველი — 3 ათასი მანეთის, ორი მეორე — თვითეული 1500 მანეთისა და სამი მესამე— თვითეული 750 მანეთის რაოდენობით.

კონკურსის ჟიურის შემადგენლობაში არიან მეცნიერები, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეები, არქიტექტორები და მხატვრები.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა მსურველს.

27 მარტი თეატრის საერთაშორისო დღეა

მსოფლიოს პროგრესული თეატრები წელს მეოთხედ ატარებენ ტრადიციულ დღეს, რომელიც მოწოდებულია ხელი შეუწყოს სხვადასხვა ქვეყნების თეატრებს შორის შემოქმედებითი ურთიერთობის განმტკიცებას, და მაყურებელთა დარაზმვას აქტუალური საბრძოლო ამოცანების განხორციელებისათვის.

მთელი პროგრესული კაცობრიობა დღეს შეშფოთებულია ამერიკელი იმპერიალისტების თავაშვებული მოქმედებით ვიეტნამში. ისინი აშკარად ცეცხლს ეთამაშებიან და მსოფლიოს ახალ, საშინელ სისხლისღვრას უქადიან. ყველა კეთილი ადამიანის გონება შეპყრობილია ხვალინდელ დღეზე ფიქრით, მათი სანუკვარი მისწრაფებაა მშვიდობის განმტკიცება მსოფლიოში.

თეატრალური ხელოვნების წმინდა მოვალეობაც მშვიდობისათვის ბრძოლაა; მეოთხე საერთაშორისო დღეც სწორედ ამ ნიშნით ტარდება.

ამ დღის აღსანიშნავად საქართველოს კულტურის სამინისტრო და თეატრალური საზოგადოება აწყობენ შეკრებას, რომელიც შესდგება რუსთაველის სახელობის თეატრის მცირე დარბაზში, 27 მარტს, დღის 3 საათზე.

ჩვენი თეატრები მაყურებელს უჩვენებენ თავის საუკეთესო დადგმებს, საბჭოთა პატრიოტიზმითა და ჰუმანიზმით გამსჭვალულ სპექტაკლებს.

აკაკი წერეთლის დაბადების 125 წლისთავი

1965 წლის 21 ივნისს სრულდება აკაკი წერეთლის დაბადების 125 წლისთავი.

მწერალთა კავშირმა შექმნა საიუბილეო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ირ. აბაშიძე (თავმჯდომარე), ბ. ჟღენტი (მოადგილე), გრ. აბაშიძე, ხ. ბერულავა, მ. ბრეგვაძე, ვ. ზამბახიძე (მდივანი), დ. კვიცარიძე, კ. ლორთქიფანიძე, რ. მარგიანი, ა. მირცხულავა, მიხ. მრევლიშვილი, გ. ნატროშვილი, ე. ქარელიშვილი, ა. ქუთათელი.

ვაჟა-ფშაველას გარდაცვალების 50 წლისთავი

1965 წლის 9 აგვისტოს სრულდება ვაჟა-ფშაველას გარდაცვალების 50 წლისთავი. ამ თარიღის აღსანიშნავად შეიქმნა კომისია:

ბ. ლეონიძე (თავმჯდომარე), ი. ნონეშვილი (მოადგილე), ა. გომიაშვილი, ნ. გურეშიძე (მდივანი), კ. კალაძე, ლ. კალანდაძე, ე. მაღრაძე, ა. შადური, დ. შენგელაია, ო. ჭილაძე, შ. რადიანი, გ. ჭიბლაძე, გ. შატბერაშვილი, ს. ჩიქოვანი.

კონკურსი საბავშვო მოთხრობაზე

გაზეთ „ნორჩი ლენინელის“ რედაქციამ გამოაცხადა კონკურსი პიონერული ასაკის ბავშვებისათვის დაწერილ საუკეთესო მოთხრობაზე. კონკურსზე მიიღება გამოუქვეყნებელი მოთხრობები, რომელთა მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს მანქანით გადაბეჭდილ 6-7 გვერდს. ნაწარმოები უნდა გაეგზავნოს „ნორჩი ლენინელის“ რედაქციას (შ. ჩიტაძის ქ. № 8) დევიზით. ცალკე დახურულ კონვერტში იმავე დევიზით მოთავსდება ავტორის გვარი, სახელი, მამის სახელი და მისამართი.

კონკურსი გაგრძელდება მიმდინარე წლის 1 ივლისამდე.

კონკურსში გამარჯვებული ნაწარმოებებისათვის დაწესებულია სამი პრემია: პირველი — 200 მანეთის, მეორე — 150 მანეთის და მესამე — 100 მანეთის ოდენობით.

თეატრალური ენციკლოპედიის მესამე ტომი

გამოვიდა თეატრალური ენციკლოპედიის მესამე ტომი. ტომში შესულ სტატიებში განხილულია მსოფლიოს თეატრალურ მოღვაწეთა შემოქმედება, დაწყებული უძველესი პერიოდიდან თანამედროვეობამდე.

თეატრალური ენციკლოპედიის ამ ტომში გაშუქებულია ქართველი რეჟისორების, კომპოზიტორების, მსახიობებისა და თეატრალურ მხატვართა შემოქმედება. აქ გაეცნობით სტატიებს ძველი თაობის გამოჩენილ წარმომადგენლებზე — კ. ყიფიანზე, დ. კლდიაშვილზე, ნ. ქუმსიაშვილზე, კ. მარჯანიშვილზე, კ. მესხზე, ეფ. მესხზე, მ. ქორელზე, ლ. მესხიშვილზე, ვ. მჭედლიშვილზე. აქვე განხილულია თანამედროვე ხელოვნების მუშაკების — ვ. ყუშიტაშვილის, ალ. მაჭავარიანის, გრ. კილაძის, ბ. კრავეიშვილის, დ. მჭედლიძის, ზ. კიკალეიშვილის, პ. კობახიძის, ე. მანჯგალაძის, ს. კლდიაშვილის, დ. კობახიძის, გრ. ლორთქიფანიძის, გ. მდივნის, მიხ. მრევლიშვილის, ს. მთვარაძის, გ. ნახუცრიშვილის, გ. კუპრაშვილის და სხვათა შემოქმედება.

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობა ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ 1965 წლის 25 მარტს გარდაიცვალა ცნობილი პოეტი და საზოგადო მოღვაწე

სანდრო ეული-ქურიძე.

თეატრის გამარჯვება

ამ დღეებში მოწმენი გავხდით მარჯანიშვილის თეატრის დიდი შემოქმედებითი წარმატებისა. ეს არის პრინციპული მნიშვნელობის გამარჯვება, რომელიც განსაკუთრებით გვახარებს და გვაიმედებს. სპექტაკლმა ნათლად გამოხატა თეატრის მხატვრული გეზი და მზადყოფნა მტკიცედ დაიცვას თავისი ფუძემდებლის შემოქმედებითი პოზიციები. ჩვენ აქ გვესმის ტრადიციის ცოცხალი ნერვის ფეთქვა და მისი ორგანული კავშირი თანამედროვე თეატრის მხატვრულ-ესთეტიკურ პრინციპებთან.

რეჟისორმა გიგა ლორთქიფანიძემ, პოლიკარპე კაკაბაძის „კახაბერის ხმალის" დადგმისას მაღალგემოვნებით გამოიყენა ხალხური ნიღაბი და მას ახალი შინაგანი განათება მისცა. სპექტაკლში იგრძნობა ჭაბუკური ეროვნული სული თავისი ტემპერამენტით, ენერგიით, თავისი იუმორითა და პოეზიით.

თითქმის ოცდაათი წელი ელოდა პ. კაკაბაძის „კახაბერის ხმალი" [illegible] სცენურ სიცოცხლეს, ელოდა მოთმინებითა და იმედით. ვინ მოსთვლის რამდენი ექსპერიმენტი ჩატარდა, მაგრამ დღემდე პიესას ვერც ერთმა რეჟისორმა ვერ მოუძებნა შესაფერი „გასაღები".

რა დასამალია და „კახაბერის ხმალის" დადგმა თეატრისათვის მართლაც დიდი გაბედულება იყო. ჩვენი ისტორიის ურთულესი პერიოდი აქ კომედიურ ჟანრშია გადაწყვეტილი და თეატრს განსაკუთრებით დიდი ტაქტი და დაკვირვება მართებდა. ჯერ კიდევ პიესის პირველი ვარიანტის შესახებ წერდა ახმეტელი: „ჩვენ გვხიბლავს პ. კაკაბაძის „მანტრიოში", რადგან იგი ეძებს ახალ ხერხებს და იძლევა სრულიად ახალ ფორმებს. პრობლემა პიესისა ღრმაა და პრინციპული... უნდა შევისწავლოთ ყველა ელემენტი, რომელიც ქართულ თეატრალურ ფორმებს ამუდავებს და საფუძვლად დაუდოთ „მანტრიოშს".

მარჯანიშვილის თეატრის სპექტაკლიც სწორედ „ქართული თეატრალური ფორმების", მისი მხატვრული ელემენტების სინთეზით გამოირჩევა. თეატრონის გათამაშებამ რეჟისორს საშუალება მისცა ეპოვნა დამხმარე „სცენური ნერვი" პიესის დრამატურგიული ინტრიგის გასაძლიერებლად. იგივე თეატრონი დაეხმარა, რათა ერთი მთლიანი სუნთქვა, ფიქრი და გულისხმა ეგრძნო სცენასა და პარტერს, დამყარებულიყო შინაგანი კონტაქტი მე-14 საუკუნის ისტორიულ წარსულსა და თანამედროვე აუდიტორიას შორის.

და ეს ყველაფერი გარკვეულ რისკსა და ექსპერიმენტთან იყო დაკავშირებული. თეატრს არ ქონდა უფლება მთელი პასუხისმგებლობით არ მოჰკიდებოდა პიესის დადგმას. უკანასკნელ წლებში საგრძნობლად გაფართოვდა გ. ლორთქიფანიძის რეჟისორული დიაპაზონი. გავიხსენოთ კ. ლორთქიფანიძის შესანიშნავი რომანის („კოლხეთის ცისკარი") მხატვრული სიმართლით აღსავსე ეპიზოდები, რომლებმაც ახალი სიცოცხლე ჰპოვეს სცენაზე. ნ. დუმბაძის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი", „მე ვხედავ მზეს" თავისი პოეტური სიწმინდითა და სიკეთით. რამდენი აქტიორული სახე შეიქმნა ამ სპექტაკლებში! რაოდენი სიხარული მოუტანეს მათ მაყურებელს!

ამ წარმოდგენებმა განსაზღვრეს გ. ლორთქიფანიძის რეჟისორული პროფილიც და ერთხელ კიდევ ხაზი გაუსვეს იმ ჭეშმარიტებას, რომ თეატრის განვითარება უპირველესად ეროვნულ დრამატურგიას უნდა ეყრდნობოდეს.

გ. ლორთქიფანიძე კარგად ფლობს ლიტერატურულ მასალას, გრძნობს მის სტრიქონებს, მის შინაგან ძალას. თანამედროვეობის გრძნობა და მხატვრული ალღო განსაკუთრებულ მომხიბვლელობას ანიჭებს მის სპექტაკლებს და ეს შესანიშნავად გამოჩნდა ახალ დადგმაშიაც.

„კახაბერის ხმალის" დადგმაში ჩანს ქართული ყოფის მრავალი ტიპიური და, ამავე დროს, კონკრეტული დეტალი, რომელსაც ხშირად სიმბოლური მნიშვნელობა აქვს და დიდ მხატვრულ განზოგადებამდეა აყვანილი. პ. კაკაბაძის მიერ შექმნილი ტიპები შთაგონებულნი არიან ეროვნული ფოლკლორიდან და გამოირჩევიან ხალხური სიბრძნითა და მომხიბვლელობით. რეჟისორმა სწორედ ეს ხალხურობა იგრძნო უპირველესად და მას შესატყვისი სცენური გააზრებაც მოუნახა. რეჟისორისათვის ყველაზე ძნელი მაინც რეალისტურისა და სიმბოლურის გამაერთიანებელი თეატრალური ნერვის პოვნა იყო. ადვილი შესაძლებელი იყო დაკარგულიყო სიმბოლიკა, ანდა პირიქით. ამ ბეწვის ხიდზე მოუხდა გავლა რეჟისორს... წარმოდგენა ისეა დადგმული თითქოს მას ფიროსმანის თვალი დაჰყურებს. გავიხსენოთ თუნდაც სპექტაკლის ფარდა და ურემი. ეს ხომ ფიროსმანიდან და ფიროსმანიდან წამოსული სამყაროა. იგი გადადის ნიღბებში, გადადის მთელი სპექტაკლის შინაგან ქსოვილში და ჰქმნის მართლაც ფიროსმანისეულ სინამდვილეს, რომელიც გვხიბლავს თავისი მარტივი ფორმებით, სილამაზით, სიკეთისაკენ სწრაფვით. ეს თითქოს და უბრალო, მაგრამ საოცრად რთული სინამდვილე სავსეა კონფლიქტებით, წინააღმდეგობებით. დრამატურგი მას ხატავს მძაფრად, უკომპრომისოდ. უყურებთ სპექტაკლს, მის მამხილებელ სურათებს, და გაგონდებათ დიდი ილიას სიტყვები: „ბევრნი არიან ჩვენში იმისთანანი, რომელნიც ცდილობენ ჩვენის ცხოვრების სიბოროტის დამალვასა. ეგ იმათ მოსდით ქართველების უმეცარ სიყვარულისა გამო". პ. კაკაბაძემ „უმეცარ სიყვარულს" დაუპირისპირა უზნეობასა და ბოროტებისადმი სიძულვილი.

უყურებთ სპექტაკლს და გრძნობთ რა ძნელად იკვლევს გზას კეთილი და ლამაზი, როგორ ებრძვის მას სიცრუე და უზნეობა. შური და გაუტანლობა დაუფლებია ქვეყანას. ძმას ძმა არ ინდობს და ნათესავი ნათესავს. ხალხი ეძებს გამოსავალს, ეძებს გმირს, რომელიც მოვა და სიმართლის მახვილით მოსპობს ბოროტებას. ეს დიდი იმედი კახაბერის ხმალია. ეს არის ერის ფარი, რომელმაც ყოველგვარი მტრისაგან უნდა დაიცვას ქვეყანა. კახაბერი თვით ხალხის სულში ზის და ამიტომ არის იგი ეროვნული გმირი.

მაგრამ ეს არის განზოგადოებული, სიმბოლური სახე და არა ერთი რომელიმე გმირში დაკონკრეტებული. ამიტომ იყო, რომ ზოგ სკეპტიკოსს უჭირდა შეგუებოდა იმ აზრს, რომ პიესაში ბოროტი ძალები უაღრესად კონკრეტული, „ადამიანური" სახით მოქმედებენ, ხოლო მათი მოპირისპირე კახაბერი კი უშუალოდ მოქმედების გარეთ იდგა. სპექტაკლმა ნიადაგი გამოაცალა ამგვარ შიშს. იგი ოპტიმისტურად ჟღერს. ეს მიღწეულია პიესის ზუსტი რეჟისორული გადაწყვეტით. წარმოდგენაში, ვიდრე კახაბერი მოვა, გულქანის სახით ძლიერი დადებითი საწყისი მოქმედებს. კახაბერი და გულქანა თითქოს პარალელურად მოქმედი კეთილი ძალაა, რომლებიც ერთმანეთისაკენ ილტვიან გასაერთიანებლად, და ეს ლტოლვა არის დიადი და ამაღლებული. სწორედ ასეთად წარმოგვიდგინა იგი მ. ჯაფარიძემ.

გულქანა სიმბოლური სახეა ქართველი ქალისა თავისი დიდი ზნეობრივი სიწმინდით, მშვენიერებით, მებრძოლი სულით. მ. ჯაფარიძის [illegible] შესრულება უფრო რელიეფურსა და კონკრეტულს ხდის სპექტაკლის დადებითს საწყისს. მიზნის სიცხადე, მისწრაფების სიცხოველე, მაღალი მორალური ძალა, რომელიც ასე პოეტურად, ასე აზრიანად და ხაზგასმით გამოხატა მ. ჯაფარიძის შესრულებაში, თავისი შინაგანი მისწრაფებით დაკავშირებულია კახაბერის იდეალებთან. აქ ყველაფერი ისეა წარმართული თითქოს გულქანა კახაბერს შენაცვლებული ცოცხალი ძალაა, რომელსაც ისტორიამ წილად არგუნა შეუდრეკელად იაროს იმ საუკუნის ცრუსა და უზნეო სამყაროში, იქადაგოს სიკეთე და, ბოლოს, წუთისოფლის ორომტრიალში შეუბღალავი სახით შეუერთდეს სამართლიანობისათვის ბრძოლის იმ იდეალს, რომელმაც კახაბერის ირგვლივ გააერთიანა ხალხი. კახაბერისა და გულქანის ამ სიმბოლურ ერთიანობაშია სპექტაკლის დიდი იდეური ძალაც.

...პირველი მოქმედების უკანასკნელი სცენა მშვენიერი ამოთქმაა ამ სურათისა. აქ ყველაფერი პოეტურია. მოძებნილია სახიერი სცენური ფორმა, რომელიც თავისი მასშტაბით ეპიკურ ჟღერადობამდეა აყვანილი: მამაპაპურ ურემზე ზის გულქანა, როგორც დედოფალი და მეფის ამალასთან ერთად ბახტანგ-ხანის სამეფოსაკენ მიემგზავრება. ამ მშვენიერ სურათთან ეშვება ფარდა, მაგრამ მეორე მოქმედების დასაწყისი ბუნებრივად აგრძელებს მიღებულ შთაბეჭდილებას და ახალი ძალით აცოცხლებს მას. ბრუნავს წრე (წუთისოფელისა), მიდის ურემი (წუთისოფლის გზაზე...) და ჩვენ გვესმის სევდიანი თურქული მელოდია. მხოლოდ რამდენიმე შტრიხით იდება ზღვარი ბახტანგ-ხანის სამყაროს ქართულთან. შ. მილორავას მუსიკა გვაწვდის იმ შინაგან [illegible], რომელიც ამ ორ ქვეყანას შორის არის. თურქულს [illegible] ქართული სიმღერა სცვლის, მერე ისევ თურქული იჭრება და ლოგიკურად უკავშირდება ჰარამხანის სცენას. ეს შეპირისპირება მშვენიერ მუსიკალურ აქცენტს უკეთებს პიესის დრამატურგიულ კონფლიქტს.

როცა მეორე მოქმედების დასაწყისს უყურებთ ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს მართლაც დიდი გზა გაიარეს. ეს იყო მტრის მიერ დარბეული სახლებითა და დაობლებული ადამიანებით აღსავსე მწუხარებისა და გლოვის გზა. ამ სანახაობით შეძრწუნებული გულქანა მღელვარებით წარსდგა ბახტანგ-ხანის წინაშე და გულწრფელად აუწყა ნანახი და განცდილი. მთელი ეს სცენა, დაწყებული ჰარამხანის ახულთა როკვით (ქორეოგრაფი გ. ოდიკაძე), დამთავრებული ხანის უკანასკნელი რეპლიკით (თ. მაისურაძე), მდიდარია შინაგანი დრამატიზმით, იუმორით, სატირიკული სიმძაფრით. მახვილ რეჟისორულ მიზანსცენებს მეტი რელიეფურობა შეაქვს ბახტანგ-ხანის დესპოტური სამყაროს გამომხატველად. რეჟისორი და მსახიობები აქ ერთგულნი არიან მწერლის მხატვრული ჩანაფიქრისა და ამიტომაც არის ასეთი სარკაზმით მხილებული ბახტანგ-ხანის „ამაღლებული" მთელი შინაგანი სიღატაკე. ჩიტი ნიორის დატირებას, წარსული სიჭაბუკის მოგონებას, ბეჭდის ძიებას თ. მაისურაძე ნამდვილი არტისტიზმით ატარებს. მოქმედების ამ მომენტებში პორტრეტის მკვეთრი პლასტიკური ნახაზი. შეიძლება რამდენადმე სადავო იყოს და ერთგვარი სიახლეც აკლდეს სახის ამგვარ გადაწყვეტას, მაგრამ ის, რასაც თ. მაისურაძე აკეთებს, აღბეჭდილია ხალასი ნიჭიერებით.

მეორე მოქმედებაში იწყებენ თავიანთ მძიმეს და გირებულ ცხოვრებას მთავრები (გ. ტატიშვილი, გ. გელოვანი), იმერეთის ბატონიშვილი (ლ. ცხვარიაშვილი), ათაბაგი შანშე (პ. ინწკირველი), სამცხუთუხუცესი (ა. თოლორაია) და [illegible] ერისთავი ბეშქენ, რომელსაც წარმატებით ასრულებს ივ. ოსაძე. ამავე სცენებში ვეცნობით შოშკობას (ლ. ანთაძე) დონ ჟუანობას და მისი რომანტიკული თავგადასავალს. აქ აღწევს მისი ვნებათაღელვა ზენიტს, აქ არის მოძებნილი ნათელი აქტიორული განცდაც და მისი შესატყვისი ფორმაც. ლ. ანთაძემ და ი. ბოკუჩავამ (ტატი) მკვეთრ კომიკურ სიტუაციებში ნიჭიერად გამოსახეს თავიანთი „გულისჭმუნვის სურათები", რომელიც ერთგვარ რომანტიკულ ელფერს სძენს მოქმედებას.

საერთოდ, მეორე მოქმედება ყველაზე უფრო სრულყოფილია და მეტი სიცხადითაც ავლენს სპექტაკლის მხატვრულ-სტილისტურ თავისებურებას.

...მზისაგან ნათელი, ლამაზი და ფერადოვანი ურემი, რომელიც ასე შვენის მთელ სპექტაკლს, რეჟისორისა და მხატვრის ერთობლივი ძიების შესანიშნავი შედეგია. მათ მრავალპლანიანი აზრობრივი და წმინდა ტექნიკური ხასიათის ამოცანა დაეკისრეს ურემს და მას შესაფერისი მხატვრული გამართლებაც მოუძებნეს. ის არის არა მარტო უტილიტარული მნიშვნელობის „გეოგრაფიული სივრცე", არამედ ნათელი მხატვრული ელემენტიც, რომელიც დიდ როლს ასრულებს სპექტაკლის საერთო მხატვრულ გადაწყვეტაში. ესაა ახალგაზრდა მხატვრის მ. მალაზონიას წარმატება, რომელმაც ასე ნიჭიერი დეკორატიული გამოსახულება მისცა სპექტაკლს.

პ. კაკაბაძის „კახაბერის ხმალი" ძლიერი მხატვრული სახეებით, გამჭოლი დრამატული ტიპების პიესაა. გავიხსენოთ გოსტამაზი და კოკოტე, შოშკობა, რომის ბრძენი და სხვები. ეს, მართლაც, მთელი გალერეაა სახეებისა, რომელსაც დიდი აქტიორული ოსტატობით უნდა შესრულება. მათ შორის მაინც გამორჩეული ფუნქცია აქვთ ნაცარქექიად ცნობილ გოსტამაზს (ვ. ნინუა) და [illegible] კოკოტეს (ნ. მოსეშვილი). ხალხურ ფოლკლორში წარმოიქმნა მათი ნიღბები, რომლებიც ასე სრულყოფილად „გადახაზდნენ" „კახაბერის ხმალში". ლიტერატურული ცხოვრებიდან ისინი კვლავ დაუბრუნდნენ სცენურ სამყაროს. დაუბრუნდნენ მხატვრულად განმდიდრებულნი და სახეცვლილნი. სპექტაკლში ისინი არიან ტრაბახისა და სიცრუის ღმერთები. ისინი ქსოვენ ინტრიგის ბადეს. ვ. ნინუა აზრიანად თამაშობს. მან იპოვა ის ნერვი, რომელიც საშუალებას აძლევს არ გამოეთიშოს როლის შინაგან დინებას და ფრთხილად გამოკვეთოს მოქმედების ლოგიკა. იგი სრულყოფილია ცალკეულ სცენებში (გამოთხოვება გულქანასთან, საუბარი როსტომთან), რომლებიც გამოირჩევიან აქტიორული სიმართლითა და გულწრფელობით.

[illegible] სახეს შეეჭიდა ჩვენი მაყურებლისათვის კარგად ცნობილი, მაგრამ მარჯანიშვილის თეატრის სცენისათვის „უცნობი" ნ. მოსეშვილი. მსახიობს აქვს აქტიორული სიმართლის გრძნობა და უშუალობა, აქვს ის მარტივი სისადავე, რომელიც ასე აუცილებელია [illegible] როლისათვის. როგორც ამ, ისე სხვა თვისებებმა განაპირობეს მარჯანიშვილის თეატრში მისი დებიუტის წარმატებაც. ოღონდ ეს არის, რომ მსახიობი უნდა ერიდოს იმპროვიზაციულ ზედმეტობას!..

როსტომის როლს გ. სიხარულიძე ასრულებს. გ. სიხარულიძის მიერ პორტრეტულადაც და როლის განვითარების შინაგანი ლოგიკის თვალსაზრისითაც ბევრი რამ საინტერესო არის მიგნებული.

ეპიზოდური, მაგრამ დასრულებული სახე შექმნა რ. ხობუამ ჯონდოს როლში. მრავალი საინტერესო დეტალით გამოირჩევა ა. კობალაძის მეფე, დ. ქუთათელაძის [illegible], ა. ვერულაშვილის მეთაური, დ. ოქროსცვარიძის [illegible], ვ. კვიტაიშვილის [illegible] და გ. გოცირიძის [illegible].

საერთოდ, სპექტაკლში არის ნაკლოვანებანიც, რომლებიც ძირითადად აქტიორული ოსტატობის სფეროს განეკუთვნება. წარმოდგენაში მონაწილეობენ ნიჭიერი მსახიობები, გვინახავს მათი წარმატებით შესრულებული არაერთი როლი, მაგრამ ახლა ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, თითქოს ზოგიერთ მათგანს სახეზე მუშაობა ჯერ კიდევ არა აქვს დამთავრებული. ამიტომ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მსახიობები ახალი ფერებით, ახალი დეტალებით გაამდიდრებენ როლებს, უფრო მეტად გამოკვეთავენ ხასიათებს.

...მარჯანიშვილის თეატრმა გაიმარჯვა სწორედ იქ, სადაც ეს ყველაზე მეტად იყო საჭირო, ეს არის ჩვენი დრამატურგიის საფუძველზე მოპოვებული წარმატება. ამასთანავე, ეს არის მწერლობის გამარჯვებაც. მუდამ ასე დიდია სიხარული, როცა ერთად არის მწერლობა და თეატრი, როცა საერთოა მათი ინტერესები.

ვასილ კიკნაძე

* * *

სურათზე: სცენა სპექტაკლ „კახაბერის ხმლიდან". გულქანა — მ. ჯაფარიძე, მეფე — ა. კობალაძე.

ხელნაწერთა აღწერილობის მეორე ტომი

ამ რამდენიმე ხნის წინათ გამოქვეყნდა ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ხელნაწერთა კოლექციის აღწერილობის მეორე ტომი. აღწერილობა შეადგინა ამავე მუზეუმის მეცნიერ თანამშრომელმა ე. ნიკოლაძემ (რედაქტორი შ. ნიკოლაიშვილი). აღწერილობას ახლავს ხელნაწერთა ქრონოლოგიური ტაბულა, გეოგრაფიულ სახელთა, პირთა და თარგმანთა საძიებლები.

ქართული ხელნაწერების დაცვისა და თავმოყრის თვალსაზრისით ქუთაისის მუზეუმი თბილისის საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის შემდეგ ერთ-ერთი წამყვანი ცენტრია ჩვენს რესპუბლიკაში. ძველი ქართული ხელნაწერები და საბუთები (არა-მარტო ქართული) მრავლადაა გაბნეული ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქებში — ახალციხეში, გორში, თელავში, ცაგერში, მესტიაში, ზუგდიდში და სხვ. მაგრამ ხელნაწერთა რაოდენობისა და მათი მეცნიერული მნიშვნელობის თვალსაზრისით ქუთაისური კოლექცია ყველაზე დიდია. ქუთაისის მუზეუმში თავმოყრილია 700-მდე ხელნაწერი წიგნი, რომელთა უმრავლესობა ძირითადად დასავლეთ საქართველოს ეკლესია-მონასტრებიდან არის მოსული. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს გელათური წარმომავლობის ხელნაწერები.

გელათური (ქუთაისური) ხელნაწერები ჯერ კიდევ ჩვენი საუკუნის პირველ ათეულში მეცნიერულად აღწერა აკად. კ. კეკელიძემ. მიუხედავად იმისა, რომ ეს აღწერილობა არ გამოქვეყნებულა (ხელნაწერის სახით ინახება ხელნაწერთა ინსტიტუტის კ. კეკელიძის პირად არქივში), იგი მაინც ცნობილი გახდა სამეცნიერო ლიტერატურაში. გელათურ ხელნაწერებში კ. კეკელიძემ აღმოაჩინა [illegible] მიერ შედგენილი კრებული, რომელშიც იოანე ქსიფილინოსის თხზულებათა თარგმანები იყო თავმოყრილი. ამ კრებულის აღწერით და საგულდაგულო ტექსტის გამოქვეყნების შემდეგ გელათურმა ხელნაწერებმა ერთბაშად მიიპყრეს სპეციალისტთა ყურადღება.

მეორე ტომში აღწერილია 442 ხელნაწერი, რომლებიც ქრონოლოგიურად XI-XIX საუკუნეებზე ნაწილდება. აქედან 22 ეტრატზეა ნაწერი, ხოლო დანარჩენი ქაღალდზე. ამ ტომში მრავალი მნიშვნელოვანი ძეგლია აღწერილი, როგორც საეკლესიო, ისე საერო მწერლობიდან. იმისათვის, რომ წარმოდგენა გვქონდეს წიგნის საერთო ხასიათზე და მასში აღწერილ ხელნაწერთა მნიშვნელობაზე სანიმუშოდ მოვიყვანთ რამდენიმე ხელნაწერის დახასიათებას.

ქუთაისური ხელნაწერი № 300 საკმაოდ ცნობილია სამეცნიერო ლიტერატურაში, იგი დიდი ლექსიკოგრაფის სულხან-საბა ორბელიანის ავტოგრაფს წარმოადგენს.

სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის თითქმის ყველა ავტოგრაფი ან ავტორიზებული ნუსხაა ჩვენამდე მოღწეული. პირველ რიგში სწორედ მათი მიხედვით გახდა შესაძლებელი „სიტყვის კონის" განვითარების ეტაპების ჩვენება.

აგიოგრაფიულ მწერლობაში კარგად ცნობილია კრებული, რომელსაც სვინაქსარი ეწოდება. ესაა ლიტურგიკული ხასიათის წიგნი, რომელშიც თავმოყრილია მართლმადიდებლური ეკლესიის წმინდათა ცხოვრების შემოკლებული საკითხები, რომელიც გათვალისწინებული იყო ეკლესიაში წასაკითხად. ქუთაისის მუზეუმის ხელნაწერთა კოლექციაში დაცულია სვინაქსარების რამდენიმე ცალი, სარეცენზიო ტომში კი შეტანილია XV-XVI ს. ს. ნუსხა № 655.

მუზეუმში საკმაოდაა ორიგინალური მწერლობის ნიმუშები: ვახტანგ VI სამართლის წიგნები, ანტონ I საქართველოს ისტორია და გრამატიკა, მოგზაურობითი ხასიათის ლიტერატურა (სულხან-საბა, ტიმოთე გაბაშვილი, იონა გედევანიშვილი). ალორძინების ხანის პოეტთა ნაწერები, მეხოტბეები და „ვეფხისტყაოსანი".

„ვეფხისტყაოსნის" სამი ხელნაწერია აღწერილი ტომში, ხელნაწერები XVII-XIX საუკუნეებს განეკუთვნება. მოღვაწეობაა გამოქვეყნებული დიმიტრი ბაგრატიონის, ქეთევანის წამება, უცნობი ავტორის ანბანთქება და ზოგიერთი ლექსი.

სარეცენზიო ტომის გამოცემით საპატიო საქმე გაკეთდა, მაგრამ მას, სამწუხაროდ, ზოგიერთი სერიოზული ნაკლი გააჩნია.

პირველი, ქართულ ხელნაწერთა აღწერილობისათვის გარკვეული ტრადიცია არსებობს და სათანადო პრინციპებია შემუშავებული, რომელთა მიხედვითაც ჩვენში დაიბეჭდა უკვე 14 ტომი. ამიტომ აღწერილობის ავტორი ვალდებული იყო იმისთვის ანგარიში გაეწია, რადგანაც ისინი მეცნიერულ საფუძველზეა შედგენილი, ეს ეხება როგორც ხელნაწერთა აღწერის პრინციპს, ასევე ტექნიკურ გაფორმებასაც. აღწერილობა, რა თქმა უნდა, არ გულისხმობს მარტო კატალოგიზაციას. ამის გამო, რომ მთელი რიგი მინაწერები აღწერილობაში არ გამოქვეყნდა და მათზე მხოლოდ მითითებებია.

მეორე, ავტორი ერთგვაროვან ხელნაწერებს ერთი პრინციპით არ აღწერს. მაგ. „ვეფხისტყაოსნის" სამი ხელნაწერია აღწერილი: ერთი XVII (383), ხოლო ორი XIX საუკუნისა (№ 289 და 593). ამათგან დეტალურადაა აღწერილი XIX საუკუნის ნუსხა, შედარებულია გამოცემას, მაშინ როდესაც XVII საუკუნის ნუსხაზე ძალზე ცოტაა ნათქვამი. ასევე ერთნაირი პრინციპით არაა აღწერილი ვახტანგის სამართლის წიგნები, ლიტურგიკული წიგნები, სადღესასწაულო და სხვ.

მესამე, ავტორი არ იძლევა ხელნაწერთან დაკავშირებულ ბიბლიოგრაფიას, არ ცდილობს გაარკვიოს ხელნაწერთან დაკავშირებული ზოგიერთი ისტორიულ-ლიტერატურული ხასიათის საკითხები, მაგ. ვის ეკუთვნის ესა თუ ის თხზულება, ვინ და როდის თარგმნა ქართულად და სხვ.

მეოთხე, ავტორი ანგარიშს არ უწევს სამეცნიერო ლიტერატურაში უკვე არსებულ ცნობებს აღნიშნულ ხელნაწერებთან დაკავშირებით.

მეხუთე, ავტორი ხელნაწერის კონკრეტული დახასიათების დროსაც უშვებს შეცდომებს, მაგ. № 574 არის კრებული, რომელშიც წარმოდგენილია საბას სწავლანი და ქეთევან დედოფლის წამება (რომელი ავტორისაა არაა მითითებული), აღწერილობაში კი გამოცხადებულია მთლიანად როგორც საბას „სწავლანი" (გვ. 184), ასევე № 471 არის კრებული, რომელშიც სამი თხზულებაა წარმოდგენილი, აღწერილობაში კი ნათქვამია, რომ არის მხოლოდ საბას „სამოთხის კარი" და სხვ.

მეექვსე, ასაწერი მასალა ზოგჯერ ავტორს კვალიფიცირებული არა აქვს და ზოგს ზოგადად. მაგ. დაბადების ერთი ფურცელი № 67 (ცნობილია, რომ დაბადება 49 წიგნისაგან შედგება), სახარების ერთი ფურცელი № 688 (რომელი თავის?). გაუგებარია, რას ნიშნავს „სახარებათა საკითხავები", ეს ლექციონარია თუ ოთხთავის ტექსტის ფრაგმენტები; ერთი ხელნაწერის (№ 502) აღწერილობას საერთოდ არ მოჰყავს ტექსტი და სხვა.

მეშვიდე, ავტორს არ აქვს გამიჯნული შენიშვნა, მინაწერი და ანდერძი. მინაწერში გააქვს გადამწერის ანდერძი (№ 442) და პირიქით, რაც, რა თქმა უნდა, სწორი არაა. წიგნში მრავალი კორექტურული შეცდომაა.

ამ ნაკლოვანებათა მიუხედავად დაინტერესებულმა მკითხველმა და სპეციალისტებმა მიიღეს წიგნი, რომლითაც უკვე სრული წარმოდგენა ექმნებათ ქუთაისის მუზეუმის ხელნაწერთა რაობაზე.

მ. ქავთარია

სადა ხარ ჩემო სიყვარულო...

ნამდვილი ამბავი

მეწისქვილე ჯამლეთის გაგუას [illegible] მერე სოფლის [illegible] სადღაც აღარ გაჭრილა, მაგრამ სატირალში ითქვა.

— ჯამლ... ჯამუ... მხოლოდ ერთხელ [illegible] ვის ცოლმა [illegible] ჯამლეთიას ტირილისათვის.

[illegible] სოფელი... ეს ამიხაგუები „შავი ქაღალდიდან" შეეჩვია [illegible], ხანჯრები, [illegible]... დაწყნენ ქალები [illegible] „[illegible]" დატირებით.

პირველად ნესტორა ალანიას ბიჭი, [illegible] დაბრუნდა ფრონტიდან. მის დანახვაზე კაპიტონმა გაიფიქრა: „ჩემი ლუმაც დაბრუნდებოდა და იყოს ისევ ცოცხალი".

[illegible] კაპიტონს [illegible] ეზოში. [illegible] და თავი მოიკლა, [illegible] ერთი ბოთლი არაყი არ გამოცალა...

შინ გვიან დაბრუნდა. სახლში ყველას ეძინა.

[illegible] კაპიტონმა, მაგრამ [illegible] ეზოში გავიდა, [illegible] ჩამოჯდა [illegible]. მერე ხელისგულზე მოიფშვნა თავისი სანაქებო „ტრაპიზონი" და გაზეთის სქელ ქაღალდში გაახვია. [illegible] თამბაქო მოიწია და [illegible] ფიქრები... [illegible]

მოვარდა თითქმის სულ [illegible] იყო... [illegible] კაპიტონ ალანია და სამი თამბაქოს ბოლითა და ნეტარი ფიქრებით [illegible].

ცაბუსაც არ ეძინა, ანგელოზი [illegible] ომში წასულ შვილს...

კაპიტონი ფიქრებში თავის მეზობლებთან და ახლობლებთან ტრიალებდა, ფიქრობდა ეს არის, რომ ამ ორმოცდაათე? წლის წინ [illegible]...

მაშინ კაცი იყო კაპიტონი, კარგი ცხენი და უნაგირი, კარგი ნაბადი და იარაღი, სახლი და კარი, მტერი და მოყვარე...

პარტიზანად იყო ნამყოფი, „[illegible]" ხელისუფლებისათვის ნაბრძოლი, ბევრი ჰქონდა გამოცდილი [illegible] კაპიტონს, ალმასხან მარღანიამ დაჭრა თავად-აზნაურებთან შეტაკების დროს.

შავი ცხენი და ნაცრისფერი ჩოხა უყვარდა, ჯარიანობაზე რომ ჩამოივლიდა, სიხარული უჩრდილებოდათ ქალიშვილებს.

მელიტონ ცაავას ქალიშვილის ცაბუს სიყვარული ჰქონდა გულში კაპიტონს. [illegible] მელიტონთან, 14 წლისა გაათხოვა მამამ ცაბუ, ნესტორ თოფურიას სიმდიდრეს დახარბდა ღარიბ-ღატაკი მელიტონ ცაავა.

ცაბუ რომ გაათხოვეს, ერთხანს კაპიტონი სოფლიდან გადაიკარგა. ენგურს გაღმა ერთი ოჯახში ძმადნაფიცი ჰყავდა და იქ გადასახლდა. ერთხანს ილოდა კაპიტონმა პირველი სიყვარული, მაგრამ მთლად ვერ [illegible] მამისეული კერა და ოჯახს დაუბრუნდა...

სულ ორი დღის მოსული იყო სახლში, იასონ გაბისონიამ შემოუთვალა, რომ [illegible], შენი და მომიათხოვეო. იწყინა: იასონი შარახუტიამ ქალის თხოვნა როგორ გამიბედაო და სახლშიც კი არ უთქვამს არაფერი, ისე შეუთვალა უარი. მაგრამ რომ არ მოეშვა გაბისონია! არც ქალს მისცა საშველი, არც ოჯახს, და ბოლოს [illegible] მიათხოვა კაპიტონმა ეს დაწუნებული იასონს შარახუტიას. ოთხი-ხუთი თვე რომ [illegible], სიძემ ოჯახზე გული აიყარა, სოხუმში ერთი შეძლებული ქვრივი შეიყვარა და მალე მასთან გადასახლდა.

კაპიტონს ერთხანს სიტყვაც არ დაუძრავს.

მერე ბოლოს ვეღარ მოითმინა, თქვა, იასონ გაბისონიას თუ [illegible] ჩემი ოჯახი, მაშინ თავისი ხელით მომიმარხოს ულვაშიო.

ძმადნაფიცი დაიბარა და სოხუმში გაგზავნა. ხასიათს შეუთვალა: სოხუმიდან წადიო.

გაბისონიას სიცილადაც არ ეყო კაპიტონის სიტყვა.

[illegible] თავზე... აგდებით უთქვამს მოციქულისათვის.

ძმადნაფიცმა დაბარებული შეატყობინა: აღარ მიყვარს შენი და... მე ჩემი გზა მაქვსო.

მაშინ ხელმეორედ სთხოვა კაპიტონმა შანგუს [illegible] ერთხელ კიდევ [illegible] და გაბისონიას შეუთვალა: თუ სამ დღეში სოხუმიდან არ წახვალ, კაპიტონ ალანია არ ვიყო, თუ [illegible] არ გავჩნდე.

...მესამე დღეს სოხუმში ჩავიდა კაპიტონი, მთელი დღე ეძება იასონი, მაგრამ ვერსად ნახა. ღამე ნათლიისშვილთან გაათია.

მეორე დილას ბაზარში გაიარა, მიიარ-მოიარა. ბაზრიდან რომ გამოდიოდა, [illegible] დუქანში მოჰკრა თვალი გაბისონიას, არაყს სვამდა და დახლიდარს რაღაცას ელაზღანდარებოდა. თვალთ დაუბნელდა კაპიტონს. ახლა მისთვის აშკარად ამ ქვეყანაზე გაბისონიას მეტი არავინ და არაფერი არსებობდა.

— იასონ, დალიე საკუთარი თავის შესანდობარი... კარებიდან დაუძახა [illegible] გაბისონიას კაპიტონმა. გაშრა გაბისონია. [illegible] ჭიქა დახლზე ნელა დადგა და [illegible] იტაცა ხელი რევოლვერზე. სწორედ ამ დროს გავარდა კარაბინი.

— შენც წადი... მეც წამახდინე, მტერი ჩემო, გაიხარეო, — ასე თქვა კაპიტონმა და სადღაც გაქრა.

[illegible] მიწისაკენ ენა ძლივს ამოადგმევინეს.

გაქრა და გაქრა კაპიტონი... შეიძრა მთელი აფხაზეთი და სამეგრელო, მაგრამ კაპიტონის კვალი ვერ ნახეს. ამბობდნენ, ძმადნაფიცებმა ხევებში დამალესო.

სოფელი კი კაპიტონს [illegible]. ჩვენი [illegible] ჩვენი ოჯახის ქალებია და ასე თუ ყველამ [illegible], რაღა კაცობა დაგვრჩებოდაო. სოფლის თავკაცებმა [illegible] მიწერეს წერილი.

საქმე იქამდე მივიდა, რომ თვითონ ლაკობამ დაიბარა ძველი პარტიზანები და უთხრა: ის ალანია მომიყვანეთო. ეს ამბავი რომ გაიგო კაპიტონმა, თავისი ფეხით გამოცხადდა მილიციაში.

ეჰ... ეს იყო 1922 წელს. მაშინ სულ ახალგაზრდა იყო კაპიტონი.

ამ ამბის შემდეგ არ გასულა დიდი დრო, და ცაბუ ცაავა დაქვრივდა. მისი ქმრის გასვენებაში არ წასულა კაპიტონი. კარგახანს არც ცაბუ უნახავს, მაგრამ რა... გული მაინც თავისას არ იშლიდა, [illegible] გათავდა კაცი...

წლისთავზე [illegible] მოუგზავნა ცაბუს. ქალმა იცოდა კაპიტონის კაცურკაცობა და გულიც მისკენ ჰქონდა, მაგრამ სამი შვილის დედას სოფლისა რცხვენოდა. ჩადგნენ ქალები საქმეში და... ცაბუ [illegible] მაყრიონით გამოიყვანა კაპიტონმა სახლში. ბავშვები მალე შეეჩვივნენ კაპიტონს. უფროსი ლუმა ოთხი წლისა იყო, გიორგი — სამისა, მამული — ერთისა. სოფელს დიდხანს ჰქონდა სალაპარაკოდ კაპიტონის ქორწილი. მალე ყველამ დაივიწყა, რომ ეს ბავშვები მისი ნამდვილი შვილები არ იყვნენ.

ერთხელ (ასე, 13 წლისა იქნებოდა მაშინ ლუმა) ყანაში წასულ კაპიტონს ცაბუმ [illegible] ხელით სადილი გაუგზავნა. ლუმას [illegible] ბუდის ძებნა დაეწყო ტყის პირას და ყანაში მისვლა დაჰგვიანებია. მზე კარგად გადასული იყო, ლუმა რომ ყანაში გამოჩნდა [illegible] პატარა [illegible]. თავი ვეღარ შეიკავა კაპიტონმა და ერთი კიდევ უთავაზა ბიჭს ყურისძირში. ატირებული ლუმა სახლში კაპიტონზე ადრე დაბრუნდა.

იმ დღეს წარმოუდგენელი შეხვდა ცაბუ ქმარს. მაშინ პირველად დაიბადა ქალის გულში მიყრუებული საიდუმლო — ჩემს შვილს ცუდად ექცევაო. რაკი ერთხელ გაიელვა ქალმა გულში მწარე აზრი, მერე სულ ის ეჩვენებოდა, კაპიტონი ბავშვებს ცუდად ექცევა.

ერთი გულბოროტი, ყაამყრალი, [illegible] ჰყავდა მეზობლად კაპიტონს, პირველად იმან ჩააწვეთა ბიჭს ყურში სიავე:

— ვაი, შენს პატრონს, ლუმაია უბედურო, რომ გგონია კაპიტონი ალანიას შვილი ხარ და უძახი ბაბაია... ბაბაიაო!

ოჯახში გაჩნდა საშიში [illegible], მაგრამ ჭკვიანი კაცი იყო კაპიტონი და ის მაინც მოახერხა, რომ გარეგნულად არაფერი დასტყობოდა ოჯახს.

ომი რომ დაიწყო, ამან მთლიანად განმუხტა ოჯახური ატმოსფერო.

წავიდა მთელი სოფელი. და ლუმა და გიორგიც წავიდნენ ფრონტზე. თანდათან მოხუცდა კაპიტონი. წლები, დარდი, ცაბუს ავადმყოფობა, შინ და გარეთ შრომა სულ ერთიანად დაეწვა კისერზე.

ფრონტიდან ჯერ ცუდი ამბავი მოდიოდა, მერე თანდათან, როგორც კაპიტონი ამბობდა „დაეხსნა თვალები" ჰიტლერს და [illegible] იყო, სოფელს დაუბრუნდა. ზოგი ჯანსაღი, ზოგი ხეიბარი... დაბრუნდნენ ლუმა და გიორგიც, გაიხარა ოჯახმა, ლუმამ მუშაობა დაიწყო და მალე ქორწილიც გამართა ალანიების ოჯახში. [illegible] ლუმა. ქალიშვილი გაათხოვა კაპიტონმა და გაამზითვა. გიორგიმ ჯერ იქორწილა, მერე სწავლა მიატოვა, ვაჭრობაში ჩადგა, [illegible] და ახლა სოფლის კოოპერატივში მუშაობს.

გაიზარდა ოჯახი. მოხუცდა ცაბუც, გაავდა, ხან ერთი რძალი არ მოსწონდა, ხან მეორე... ასე თანდათან კვლავ შეიძრა ოჯახი.

კაპიტონსაც ცუდად ექცეოდა ცაბუ. რაკი ერთხელ დაკარგა წონასწორობა ქალმა, მერე სულ აირია და უბოდიშოდ [illegible] ქმარს. ბიჭებმა ცალკე მოინდომეს დასახლება. მალე კაპიტონს ტყუილ-უბრალოდ დაუწყეს ჩხუბი.

დავიბერდი და აღარ ვჭირდებით... გაიფიქრა კაპიტონმა და გული აუჩქარდა, ჩხუბს მაინც ერიდებოდა, რცხვენოდა მტერ-მოყვარისა.

„კაცმა ჭირი მალა, მალა, ჭირმა თავი არ დამალაო". არც კაპიტონის სატკივარი დაიმალა. შვილებმა ახლა გაიხსენეს, რომ ის მათი ნამდვილი მამა არ იყო, ატყდა ჩხუბი, [illegible], უსიამოვნება. საქმე სასამართლომდე მივიდა...

— [illegible] ვაჟკაცობა, კაპიტონმა გაზარდა, გზაზე დააყენა და ახლა [illegible] და... რას არ ეძახიან... [illegible] კაპიტონის ნაოფლარი!.. ასე ამბობენ [illegible] მეზობლები.

— [illegible] და სასამართლოს წინაშე წააყენებს ეს ორი მოხუცებული. ისინი რომ თავმოყვარე ახალგაზრდები იყვნენ, ამას ჩაადენინებდნენ მოხუცებულებს? — მითხრა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ. — სანამ ცაბუ [illegible] ცოლი იყო საწყალი კაპიტონი ჯერ ყანაში იყო, მერე თამბაქოს პლანტაციებში მიდიოდა და ცაბუს ნორმა თამბაქოს უვლიდა, არავინ [illegible], ჩემი ცოლი არაფერს არ აკეთებსო. არ დაუფასებია საწყალ კაპიტონს ამაგი! — გულწრფელად დარდობს კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

სასამართლომ გაყო ოჯახი. ერთ მხარეს დარჩა მარტო კაპიტონ ალანია, მეორე მხარეს ცოლი, სამი შვილი და შვილიშვილები...

მარტო სიბერე და დარდი დარჩა კაპიტონის ფლიგელში.

თითქმის ორმოცი წელიწადი იცხოვრეს ერთად და... არასოდეს არ უფიქრია კაპიტონს, რომ ისინი სხვანი იყვნენ და თვითონ სხვა იყო, ახლა კი...

ვაი მე... კვნესოდა ბერიკაცი.

დამძიმდა დღეები და თვეები... ცოლშვილი, რომელსაც მთელი სიცოცხლე შესწირა, ახლა მეზობლებად გადაექცა და ისიც ცუდ მეზობლებად.

კაპიტონი სოფელმა გაამაგრა, [illegible] მეგობრებმა, ახლობლებმა. თვითონაც ვაჟკაცი იყო კაპიტონი და კარზე მომდგარ [illegible] გაუმკლავდა და ამ მარტოხელად დარჩენილის კარზე ხანდახან [illegible] სტუმრები...

კაპიტონმა რომ [illegible] თავი არ დაუდო, ამან მთლად გააბრაზა ცოლი და მისი შვილები. ჩხუბსა და აყალმაყალს არ დააცდა საშველი, მაშინ გაცლა ამჯობინა კაპიტონმა და სოფლის განაპირას ერთ [illegible] კაცს გაუცვალა სახლი და ადგილი. ამაზე ხელ [illegible] კაპიტონის მტრებს... შეიქნა ჩხუბი და სასამართლო...

დაჰყვება კაპიტონი სასამართლოდან სასამართლოში, დადის ბერიკაცი და ამტკიცებს თავის სიმართლეს...

ვის [illegible] ამქვეყნად ამისთანა, მე რომ მჭირს, ამისთანა გაჭირვება კაცი? გავზარდე, გზაზე დავაყენე, ერთხელ მაინც მოეფიქრა, რომ სხვის შვილებს ვზრდიდი?... „შვილები არ დამიწყებენო" თუ ვიტყოდი, [illegible].

ან იმას რომ შეეცვალა ეს გული!.. (არასოდეს ცოლ-ქმრული სახელით არ იხსენიებდა კაპიტონი) ამ ორმოცი წლის წინათ შევყევი და ახლა მიტოვა. კაცო!.. სადა ხარ, სად... ჩემო სიყვარულო... სად დაიკარგე...

აიღეთ ეს ქვა, შანგუ და ჩამქოლეთ, ადამიანებო...

კვნესოდა გულში ბერიკაცი.

[illegible] ფაცხიდან წავიდა ცაბუს მოსაყვანად მაყრიონი... ახლა [illegible] სახლი აქვს [illegible] და თვრამეტი შვილიშვილი ჰყავს..

* * *

...ჩუმად სხედან ძმადნაფიცები, ჩუმად ამოლევენ ყალიონს და უხმოდ და უსიტყვოდ საუბრობენ, იხსენებენ დარდს და ნაღველს.

მხოლოდ ნამდვილი მეგობრობა უძლებს დროს და სიშორეს... და კაპიტონმა იგრძნო, რომ შანგუსაც სტკივა კაპიტონის სატკივარი, იგრძნო და გულში იმედი ნაღვერდალივით აკიაფდა, აკიაფდა და აინთო, აალდა...

აგერ არ არის ჩემი შანგუ?.. ჩემი ძმადნაფიცი ამბაკო, ანტიპო, მელიტონი, ბაბუა, ზუტა... ალანიები, გაგუები, შონკუბები... აგერ არ არის მთელი სოფელი? [illegible] ჩემი შრომისა და პატიოსნების მოწმე და ქომაგი, მათშია ჩემი კაცობა და სინდისი...

ამბობდა კაპიტონი, მაგრამ ხმამაღლა კი არა, გულში, თავისთვის. იცოდა, რომ შანგუს ისედაც ესმოდა მისი გულის ხმა. სწორედ ამით იყო ბერიკაცი ძლიერი...

რ. დვალიშვილი

სოხუმი.

მთვრალი მზე*

შალვა ფორჩხიძე

შენ მხოლოდ ჩემი მოდგმის საუფლოვ,
ქართლის ცხოვრების მოწამე ცაო,
შენ იცი, მიწავ [illegible],
ვით მიყვარს შენი ბალახის ხაოც...
და ვიდრე ვულებ სიხარულს ამვებს,
სიყვარულს სულში ცეცხლად აენთებს,
ვიდრე ხატება შენი თან დამდევს,
რა მოასვენებს ჩემს გულს დამჭნარს,
ძარღვში რომ სისხლი კივის ძლიერი,
მე დამდევს შენი სიცოცხლის [illegible],
შენი ცის არა აქვს თვალსაწიერი, —
[illegible] სიმწვანე და ფერთა სილბო.
და მე ვარ შენი [illegible] სული,
 ავარდა,
 ფრენა,
 მზერა ქროლილი...
შენა ხარ ჩემი დიდი წარსული,
ჩემი უტეხი ციხე [illegible].
ჩვენ ერთად ვზიდეთ სიმტკიცე ერის,
მე ცეცხლი ვიყავ
 და შენ სიცოცხლე.
თვალებში მედგა შენი ცის ფერი,
[illegible]
 არ შევიცოდე...
მე ვიყავ შენი მტკიცე გოდოლი,
შენი მაღალი კლდეკარის ციხე,
შეუდრეკელი
 [illegible] კედელი,
შენი შუადღის [illegible] სიცხე.
შენთვის [illegible] უფსკრულის ქიმზე
მე განაწირად დაკიდებული.
და შენ წყლულზე [illegible] ნისლებს,
ჩემი ტკივილით აკიდებული.
მე [illegible] სისხლში უდაბნოს ქვიშა,
მე [illegible] ამ მთებს, ციხეს
 [illegible].
შენ [illegible],
[illegible] და სიამაყე.
[illegible] ღმერთს ხელგაშლილი,
შენ იყავ ჩემი დარდიც, ნუგეში,
და გადამქონდა მე შენი სული
საუკუნიდან საუკუნეში.
და ვიდრე ვულებ სიხარულს ამვებს,
სიყვარულს სულში ცეცხლად აენთებს,
ვიდრე ხატება შენი თან დამდევს,
რა მოასვენებს ჩემს გულს დამჭნარს...

* * *

მე მესიზმრება თეთრი ხელებით
ციდან მიმოფრენს თეთრი აპრილი,
და დამსხვრეული ცისარტყელების
სერებზე ბოლავს სხივთა აჩრდილი.
მე მესიზმრება დიდი ზარები
რეკავენ ცაში და [illegible]
ტყეებს არბევენ დიდი ქარები,
და იჩლეჯებიან ღრუბლის [illegible].
მე მესიზმრება დიდი გრუხუნი,
დიდი წვიმები და [illegible] ბინდი,
[illegible] სამარესთან მზე ჩამუხლული,
ცეცხლმოდებული ტოტებით შინდის.
მე მესიზმრება [illegible]
[illegible] რძისფერ მდინარეს,
ველურ ყვავილთა [illegible]
[illegible] და ცა მძვინვარებს,
მე მესიზმრება შუადღის ხატით
მზე გალეშილი და გადამთვრალი,
ჩემი ოცნების ლამაზი ხატი, —
[illegible] ცეცხლი და ვარდის ალი.

* * *

მე მესიზმრება დიდი ჭადრები,
დაყუდებულნი რძისფერ სვეტებად,
[illegible] შუქი... ნისლი... კარვები...
და [illegible] თაყვანისცემა.
და მახსენდება იმ ჭადრებს იქით
ცხოვრობდა ერთი გამრჯელი გლეხი.
თვრებოდა ახალ [illegible]
და რწყავდა ოფლით ვაზსა და ხეხილს.
უყვარდა ეზოს და მწვანე ცაცხვებს
[illegible] მისი მაღალი ოდა.
ავსებდა ფართო სიმინდის საცებს
და კაცს ალალი პურ-ღვინო ჰქონდა.
ცხოვრობდა ლაღი და [illegible],
ხელი მოძმისთვის ჰქონდა გაწვდილი.
თურმე სიმტკიცე ჰქონდა ქვიტკირის,
[illegible] და მტრობას [illegible],
და ჰქონდა სული, ამაყი სული,
გული მშურვალე, ვითარცა თონე,
ცხოვრობდა ხალხში კაცი [illegible],
მუდამ მართალი და თავმომწონე.
და მენანება, იმ ჭადრებს იქით
აღარ დგას სახლი სვეტებით [illegible],
ბალავარს ფარავს ფოთლები გვიმრის
და მდუმარებენ ცაცხვები მწუხრით...

* * *

[illegible] შენი ფშანები,
წყლისპირას დუმილი ხავსიან ლოდის.
[illegible]
[illegible] ნეკერჩხლის ტოტი.
გამახსენდება გადასასვლელი
ჩვენი მდინარის თხელი ფონები,
გრილ ფლატეებში ცივი ბინდები
და აღარ ვიცი, [illegible]
და [illegible], ოდეს გარს უვლის
[illegible]
სადღაც მთის მთვარე [illegible] შუქით
და [illegible] ფოთლებში [illegible].
მომენატრება შენი მარნებია
[illegible] სამრეკლის [illegible]..
სული [illegible] მზესთან [illegible],
ფოთლების ზუზუ და ფერთა სილბო...

* * *

იქ თითქო კრამიტის წითელი ქოლგებით
ქუთაისის სახლები არიან ფერადი...
შორს ციხის ნანგრევზე სხდებიან
 [illegible]
და ლურჯი ჩიტები [illegible].
[illegible] მწვანეში [illegible] სოფელი,
[illegible] მაღალი ბერმუხა [illegible]...
[illegible] ჩრდილების
 [illegible],
ეზოში [illegible] ძაღლები დადიან!
[illegible]
 [illegible],
[illegible]...
და სადღაც [illegible]
 [illegible],
ტყეებში ლაჟვარდით გარბიან ირმები,
იქ ბევრი ყანებია და დიდი მეღრეა
და მთებში [illegible] ანთია.
[illegible]
 [illegible] სხდებიან
და ღამით ქალებში [illegible].
იქ მუდამ შრომაა და სხივთა კამკამი
ვენახებს მთვარე უკრის შორიდან,
[illegible] ნისლების ნარჩევში
და გზაზე მაისით გლეხები მოდიან.
იქ ვაზის ფოთოლი ლურჯდება
 [illegible],
სიმღერებს ზედ ერთვის ხმაური
 მდინარის.
სოფლისკენ გზა უხვევს დაბურულ
 [illegible]
და [illegible] კრამიტებს [illegible]...

* * *

იმ ღია ცის ქვეშ, მწვანე ეზოში,
აფრინდა ჩემი [illegible] ლექსი.
[illegible] ნისლიანი,
წამოიზარდა წინაპრის ფესვი.
მას მიმდევს ცეცხლის და მზის
 [illegible], —
სიტყვა უეცრად ვის სულს [illegible]
 [illegible]?
უნდა [illegible] იმ მზემ თვალები,
ის ცა, ის ხალხი თუ ვერ დავხატე,
[illegible] ჰანგებს ცეცხლის [illegible],
არ ვიცი ბედი სად გამითავებს...
იმ სიყვარულის [illegible]
ჩემი პოემის ლურჯი სათავე.

---

* შ. ფორჩხიძის პოემა „მთვრალი მზე" იბეჭდება ჟურნალ „მნათობის" მესამე ნომერში. ვბეჭდავთ პოემის შესავალს.



ნატურმორტი.
მხატვარი ოთ. ფირალიშვილი.

ᲞᲝᲔᲢᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲙᲕᲚᲔᲕᲔᲑᲘ

ᲩᲕᲔᲜᲘ დროის გამოჩენილმა პოეტმა იოსებ გრიშაშვილმა დიდხანია, რაც ლიტერატურის შესანიშნავი მკვლევარის სახელი დაიმკვიდრა. მან თავისი „ლიტერატურული ნარკვევებით" მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა გასული საუკუნის ლიტერატურული და საზოგადოებრივი აზროვნების შესწავლის საქმეში.

რასაკვირველია, ი. გრიშაშვილი მშობლიური ლიტერატურის ისტორიაში დარჩება, უპირველეს ყოვლისა, როგორც ლირიკული ლექსის უბადლო ოსტატი, მაგრამ მისი შრომები „ძველ თეატრში", „ქართული რომანტიზმის სათავეებთან", „თბილისის ისტორიისათვის" და სხვები იშვიათი ისტორიულ-მეცნიერული ღირებულების მქონე გამოკვლევებია, ისინი გამოირჩევა მასალის ღრმა ცოდნითა და თანმიმდევრული, დამაჯერებელი ანალიზით.

სახალხო პოეტი თავისი მშვენიერი ლირიკული ლექსების ერთ-ერთ მთავარ თემას — ხალხთა ძმობისა და მეგობრობის თემას ერთგვარად ავითარებს და ავსებს ლიტერატურულ წერილებსა და გამოკვლევებში. ამ რიგის წერილებიდან პირველ რიგში უნდა დავასახელოთ „პუშკინის პირველი მთარგმნელები", „ლერმონტოვი ქართულ ლიტერატურაში", „ა. ნ. ოსტროვსკი საქართველოში", „გაბრიელ სუნდუკიანი და ქართული საზოგადოებრიობა", „მირზა ფათალი ახუნდოვი", რომლებშიც ფრიად მნიშვნელოვანი საკითხებია აღძრული და გაშუქებული.

ი. გრიშაშვილმა დააზუსტა მეცხრამეტე საუკუნეში პუშკინისა და ლერმონტოვის ლექსების მთარგმნელები, გამოიკვლია ის სიყვარული და პატივისცემა, რომლითაც გამსჭვალული იყვნენ მოწინავე ქართველი ადამიანები ამ ორი დიდი პოეტისადმი და ის ნათელი და გულწრფელი დამოკიდებულება, რასაც რუსული პოეზიის გენიოსები საქართველოსადმი ამჟღავნებდნენ. რაც მთავარია, ამ გამოკვლევებში პოეტი ახლებურად აშუქებს ორი ერის კულტურული ურთიერთობის უმნიშვნელოვანეს პრობლემებს, და თავის მოსაზრებებს დამაჯერებლად ასაბუთებს.

ი. გრიშაშვილი სავსებით სამართლიანად თვლებს ამიერკავკასიის ხალხთა მეგობრობის ტრუბადურად. მის ლექსებში ძლიერად ჟღერს ხალხთა ძმობის ჰანგები. ხოლო სუნდუკიანსა და მირზა ფათალი ახუნდოვზე დაწერილი მისი წერილები გამსჭვალულია სომეხი და აზერბაიჯანელი ხალხებისადმი ღრმა სიყვარულით. მკვლევარს მარტო ის კი არ აინტერესებს, თუ პირველად ქართულ თეატრში როდის დაიდგა „პეპო", ან ვინ და როგორ ასრულებდა მასში როლებს, არამედ და უმთავრესად ის, თუ სუნდუკიანი თავისი მოღვაწეობით რამდენად უწყობდა ხელს ორი ერის კიდევ უფრო მეტად დაახლოების საქმეს. ამავე თვალსაზრისით იხილავს ი. გრიშაშვილი ახუნდოვის შემოქმედებას.

აღსანიშნავია, რომ ქართველი მწერლებიდან აკაკი წერეთელმა პირველმა — წერს ი. გრიშაშვილი, — მიაქცია ყურადღება აზერბაიჯანულ ლიტერატურას და ქართულ ენაზე გადმოთარგმნა ახუნდოვის ცნობილი პიესა „ხანის ვეზირი". უდავოდ მართალია ის აზრი, რომ აკაკი წერეთელმა დიდი საქმე გააკეთა ორი მეზობელი ხალხის კულტურულად დაახლოების საქმეში.

„ჩვენ ამ დიდი მეგობრობის სამსახურში მუდამ უნდა გვახსოვდეს, — წერს ი. გრიშაშვილი, — ის ჩვენი სახელოვანი წინაპრები, რომლებიც თავისი ხალხის ეროვნულ და სოციალურ განთავისუფლებაზე ოცნებობდნენ და რომელთაც თავიანთი ქვეყნის თავისუფლება და ბედნიერება ვერ წარმოედგინათ ერთა ძმობისა და თანამშრომლობის გარეშე". სწორედ მეგობრობისა და ძმობის ამ პათოსით არის აღბეჭდილი გამოკვლევა „ქართველ და რუსი ხალხთა ლიტერატურული ურთიერთობანი".

ფრიად საყურადღებო ნაშრომია ნარკვევი „ილია ჭავჭავაძე და ქართული თეატრი". აქ ი. გრიშაშვილი დაწვრილებით გვაცნობს ქართული თეატრის წარსულს და იმ დიდ როლს, რომელიც ილიამ შეასრულა მისი განვითარების ისტორიაში.

ი. ჭავჭავაძემ, რომელსაც კარგად ესმოდა თეატრის მნიშვნელობა ხალხის გათვითცნობიერების, ქართული კულტურისა და აზროვნების განვითარების საქმეში, ქართულ თეატრს მტკიცე საფუძველი ჩაუყარა და ახალი მიმართულება მისცა. მან ქართული თეატრი რეალისტურ პრინციპებზე დააყენა და მიზნად პროგრესული იდეებისა და ეროვნული თავისუფლების ქადაგება დაუსახა.

პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ი. გრიშაშვილის ამ ლიტერატურული ეტიუდის გამოკვლევებამდე სრულად ცნობილი და ჯეროვნად გაშუქებული არ იყო ი. ჭავჭავაძის ფასდაუდებელი ღვაწლი ქართული თეატრის აღორძინებისა და განვითარების საქმეში. ი. გრიშაშვილმა ამ თავისი შესანიშნავი გამოკვლევით დიდი ქართველი მწერლისა და მოაზროვნის მჩქეფარე შემოქმედებითი ცხოვრების და მოღვაწეობის ახალი ფურცლები გადაშალა.

ი. გრიშაშვილი უხვი ფაქტობრივი მასალით ამდიდრებს დიდი ბელეტრისტის ა. ყაზბეგის ბიოგრაფიას. მასალები, რომლებიც მეცნიერული სიზუსტით არის გაანალიზებული, სრულ წარმოდგენას იძლევა ალ. ყაზბეგზე, როგორც დრამატურგსა და მსახიობზე.

მეტად მნიშვნელოვანი გამოკვლევაა „ქართული შექსპირიანა და ივანე მაჩაბელი". მასში გარკვეულია შექსპირის დრამების ქართულად თარგმნის ისტორია და ამ საქმეში ივანე მაჩაბლის განსაკუთრებული დამსახურება.

„როგორც ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემის ფოლკლორისა იმოქმედა ჩემს პოეზიაზე, — წერს ი. გრიშაშვილი, — ისე ასევე ცაგარლის პიესებმა შემაყვარა ქართული თეატრი და დრამატურგია". ალბათ ამით აიხსნება, რომ ერთ დროს მივიწყებულ ა. ცაგარელს მან ესოდენ დიდი [illegible] გაუწია. ჩვენმა პოეტმა პირველმა შეკრიბა მისი პიესები, დაურთო ვრცელი, საინტერესო გამოკვლევა და ისე მიაწოდა მკითხველს.

ი. გრიშაშვილი თავისებური ხელის მკვლევარია. ამას ადასტურებს თუნდაც მისი ნარკვევი „ცხოვრება ალექსანდრე ჭავჭავაძისა", სადაც პოეტი ცდილობს ქართული რომანტიზმის მამამთავრის ცხოვრების არც ერთი მნიშვნელოვანი დეტალი თავიდან არ მიეცეს, ყოველ წვრილმანს გრიშაშვილი დიდად აფასებს, გულმოდგინედ სწავლობს და მეცნიერული კეთილსინდისიერებით აშუქებს. ამიტომ არის, რომ მის მიერ მოტანილი ფაქტები და დასკვნები ეჭვს არასოდეს არ იწვევს. „ცხოვრება ალექსანდრე ჭავჭავაძისა" მეცხრამეტე საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიის მნიშვნელოვანი შენაძენია და თავის დროზე ის ამ ისტორიაში მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯი იყო. მასში მოცემულია როგორც პოეტის შემოქმედების, ისე ეპოქის დახასიათება. ამ ნაშრომში ი. გრიშაშვილმა მრავალი ახალი საკითხი დააყენა და ახლებურად გააშუქა. ისინი, ამ ეპოქის ვერც ერთი მკვლევარი გვერდს ვერ აუვლის პოეტის ამ ბრწყინვალე ნაშრომს.

„დავიწყებული და გამოჩენილნი", „მოგონებანი", „თბილისის ისტორიისათვის", „დოკუმენტები და შენიშვნები" დიდი გრძნობით არის დაწერილი. ბელინსკი ამბობდა, — რამდენადაც ღრმაა გრძნობა, იმდენად ღრმაა აზრიცო. ეს რომ მართლაც ასეა, ამას მოწმობს თუნდაც ი. გრიშაშვილის მოგონებანი გ. ქუჩიშვილზე, კოტე მესხზე, კოტე მარჯანიშვილზე. პოეტმა სიყვარულით დახატა თავისი საყვარელი ადამიანების პორტრეტები, ფაქიზად გააშუქა მათი ღვაწლი, ღრმად ჩაიხედა მათ შემოქმედებით სულში და მათი სახელი კიდევ უფრო აამაღლა მკითხველის თვალში.

ასეთია ი. გრიშაშვილის თხზულებათა მეოთხე ტომის შინაარსი, მისი ხასიათი და მნიშვნელობა.

ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠ ᲯᲘᲑᲣᲢᲘ

ᲙᲣᲠᲝᲠᲢ წყალტუბოს დირექტორად ახლად დანიშნული გიორგი წყრიალაშვილი პირველ დღეს სამსახურში ადრიანად მოვიდა. სამმართველოში მას დირექტორის მოადგილე და მთავარი ბუღალტერი შეხვდნენ, დაუყოვნებლივ კაბინეტისკენ წაიყვანეს, ახალი გაზეთები შეათავაზეს, ცოტახანს ესაუბრნენ, ხოლო შემდეგ თავიანთ საქმეს მიხედეს.

მუშაობის დაწყებას რამდენიმე წუთი აკლდა, როცა დირექტორთან მაღალი, [illegible], ღიმილიანი გამომეტყველების მქონე ახალგაზრდა გამოცხადდა. იგი კაბინეტში შესვლისთანავე შედგა, მარცხენა ხელი ჯიბეში ჩაიყო, ქამრის ბოლოს შეავლო და წყრიალაშვილს, რომელიც ფანჯარასთან გაზეთს ათვალიერებდა, იმპერატიულად შესძახა:

— გამარჯობათ, პატივცემულო უფროსო!

— გაგიმარჯოს! მობრძანდით... ვინ ბრძანდებით?

— მე... თქვენი მძღოლი ვარ, ამხანაგო დირექტორო, მაპატიეთ, რომ ამ დილით შინ ვერ გეახელით, გუშინ გვიან ჩამოსულხართ და არ მინდოდა ღამე ხელი შემეშალა.

— ეჰ, სწორია, ჩემო კარგო... მე ცოტა გულს ვუვლი და ხშირად ფეხით დავდივარ... თქვენი სახელი?

— ივან გიორგევიჩს მეძახიან! — ამაყად წარმოთქვა, თავი ოდნავ დახარა და ღიმილით განაგრძო, — თქვენი სახელიც მითხარით, პატივცემულო!

— თქვენ ივან გიორგევიჩი! მე გიორგი ივანეს ძე ვარ! — ღიმილითვე უპასუხა წყრიალაშვილმა, სავარძელში ჩაჯდა, კალენდარი გადაფურცლა და, მძღოლისათვის თვალი არ მოუშორებია, ისე განაგრძო, — რატომ გვარს არ მეუბნებით!

— ცნობილი კეთილაძე გახლავარ! — დირექტორთან მივიდა, ხელი მაგრად ჩამოართვა, მერე იატაკზე ფეხების ცოცვით უკან დაიხია, ისევ კარებთან დადგა და ახლად გაცნობილ დირექტორს ხიდილით უთხრა:

— ბედნიერი შეხვედრაა, უფროსო, მე მამათქვენის სახელი მქვია, თქვენ კი — მამაჩემისა!

— კარგია! აბა, ჩემო ივან გიორგევიჩ, მანქანა მოამზადე, თორმეტ საათზე ქუთაისში წავიდეთ, თბილისიდან ჯანმრთელობის მინისტრის მოადგილე ჩამოსული და შევხვდეთ!

— მოვამზადებ მანქანას! დაიმედით დირექტორ... მინისტრს კარგად ვიცნობ... ჭკვიანი კაცია, მაგრამ ღვინოს არ სვამს და ცოტა ამაზე ეშმაკობს.

— ჯანმრთელობა არ უწყობს ხელს.

— ჩემი აზრით, ყველა კაცი ჯანმრთელი უნდა იყოს!

— და უკვდავიც, ხომ?

— სწორად ბრძანებთ, უფროსო!

— ყოფილ დირექტორებსაც თქვენ ემსახურებოდით?

— ზუსტად სამი წელი! კარგი კაცები იყვნენ... ადამიანის ფასიც იცოდნენ და პურმარილისაც!

— ვიცით, კარგი კაცია!

— საქმეც არ მესმის ცუდად დავიწყებული, გუშინ ვამოწმებდი... მაგრამ, ხომ იცით, შეყვარებით ახალგაზრდა მყავს... — მძღოლმა თავი შეაქცია, ეტყობოდა ხიბლს ნიშნავდა.

— კარგია, მანქანა მოამზადე!

— დიახ, მოვამზადებ მანქანას! — კეთილაძე განაგრძო რწმენით კაბინეტიდან გავიდა.

წყრიალაშვილს მოეწონა ახალგაზრდა მძღოლი. უშუალობით და გრძნობით აღსავსე კაცია, გაიფიქრა.

რამდენიმე წუთის შემდეგ დირექტორმა თანამშრომლები მიიწვია, გაიცნო, კურორტის მუშაობის საკითხებზე ესაუბრა, დავალებები მისცა და თავაზიანად დაემშვიდობა.

თორმეტ საათს წუთი აკლდა, როცა ვაჟი კეთილაძემ გაპრიალებული „ვოლგა" სამმართველოს წინ დააყენა, პაპიროსი გააბოლა და დირექტორის მოლოდინში ცალი თვალი კარებისაკენ დაიჭირა.

მალე აივანზე დირექტორი და მთავარი ბუღალტერი გამოვიდნენ [illegible]. მძღოლმა მანქანა დაძრა, კარი გააღო, მაგრამ ბუღალტერი უფროსს არ უშვებდა. ნახვამდის, ნახვამდის გაიძახოდა, ხელებს აიქნევდა, [illegible].

გაჰყვებოდა კეთილაძე, საათს დახედა. [illegible] წყრიალაშვილმა ოდნავ გაიღიმა და მანქანისაკენ გაიწია.

მძღოლი თავაზიანად ამოუხტა, მარჯვენა კართან მიირბინა, მანქანა გაუღო და დირექტორს ღია კარებთან შეიპატიჟა.

— მობრძანდით!

როგორც კი წყრიალაშვილი მძღოლის გვერდით მოკალათდა, „ვოლგა" მაშინვე მოსწყდა ადგილს. დირექტორი მოულოდნელად შეიშმუშნა, ქუდი თვალებზე ჩამოეფხატა, სათვალე დაუვარდა, ცოტა კინაღამ ეტკინა, მაგრამ არ შეიმჩნია.

მძღოლმა ქუდი თავისი ხელით გაუსწორა; სათვალე ხელში მიაჩეჩა და ხელს უმატა.

„ეს კაცი ჩემს ყოფაზე გაზრდილს არა ჰგავს, ეტყობა გამოცდილ მძღოლთან მანქანაში ჯდომას შეუჩვეველია!" — გაიფიქრა კეთილაძემ.

კურორტის ტერიტორიას გასცდნენ. მანქანა [illegible] სისწრაფით მიუდგა წყალტუბო-ქუთაისის ძველ გზას.

გიორგი წყრიალაშვილს გული შეუტოკდა, როცა მანქანამ „წყალტუბომშენის" დაუმთავრებელ [illegible] თვალის დახამხამებაზე ჩაირბინა და გუმბრინის მაღაროთა მისადგომებისაკენ გაიქროლა. [illegible] ბუნებით უნდა დამტკბარიყო.

— ჩვენი ქვეყნის ბუნება ყველგან მშვენიერია, გიორგი ივანოვიჩ, მაგრამ ახლა, როცა საქმეზე მივეშურებით, მის წიაღში სტუმარი თავად მოგვეპყრობა იქნება... ჯერ ქუთაისი მოვიარეთ და მერე ბუნების სილამაზით დატკბობასაც მოვესწრებით.

— „ეჰ, ჩემო ნაწრთობ რკინას არა ჰგავს, — გაიფიქრა ვაჟი კეთილაძემ, — სადა შეხვდები ამ ვაჟკაცს? დაიწყე, ბიჭო, [illegible]! მერე ხარ თუ მძღოლი, ხელი ამას ჩამოიშორებდა".

მგზავრები გუმბრინის მაღაროებს მიუახლოვდნენ. [illegible] ხასულებით დატვირთული და გზის ორივე მხარეზე ჯგუფ-ჯგუფად [illegible] შემოუვლიდნენ. მძღოლი იძულებული გახდა ხელი შეენელებინა. [illegible] და ურმებთან მისვლისთანავე [illegible] წყრიალით გადასძახა:

— ქალებო, ქალებო! როგორ მიდიხართ!

კოლმეურნეებმა ეს სიტყვები მოსალოცად მიიღეს და ერთხმად შესძახეს: გაგიმარჯოს, გაგიმარჯოს!

დირექტორს გაეცინა, განსაცდელი თითქოს დაავიწყდა, მაგრამ ხანმოკლე გამოდგა ეს სიხარული. როგორც კი მანქანა გუმბრინის მიდამოებს გასცდა, მძღოლმა სწრაფად უმატა ხელს. გიორგის თვალები კვლავ სპიდომეტრზე მიიზიდა, ისარი ოთხმოცდაათს მიიწევდა, [illegible] ასისკენ იწევდა... იფიქრა მძღოლისათვის ხელის შეშლება ებრძანებინა,

ᲯᲘᲦᲐ ᲑᲘᲭᲘ

ᲡᲔᲠᲒᲝ ᲤᲮᲐᲙᲐᲫᲔ

გაივაკეს თუ არა, მძიმედ ამოისუნთქა და სპიდომეტრს დახედა. ისარი თანდათან მარჯვნივ იხრებოდა. [illegible]

— ივან გიორგევიჩ, — მიმართა მძღოლს, — საჩქარო არაფერია, საკმაო დრო გვაქვს... მინისტრი დღის ორ საათამდე ქალაქის საბჭოს აღმასკომში იქნება!

— როგორ გეკადრებათ, გიორგი ივანოვიჩ, თუ პირველი შეხვედრისთანავე საქმეზე დაგაგვიანდეთ და მარცხი შეგვემთხვევა, რაღა ვაჟკაცი ვყოფილვარ...

ამ საუბარში მანქანა კვლავ დაღმართში გაექანა. მალე მძღოლმა ხელი ოდნავ შეანელა და დირექტორს მიუბრუნდა:

— ნაძრახი ადგილია, გიორგი ივანოვიჩ!

— რატომ!

— ამ ადგილიდან რამდენიმე წლის წინათ მძღოლმა მანქანა გადაყარა, ორი მგზავრი დაიღუპა. უბედური მძღოლის ხელში მანქანებს უყვართ ამ ფერდობზე გადახტომა... თავად კი და კოტრიალი... ასეთ შემთხვევაში ზოგიერთს სპორტული გაწრთვნილობა შველის, დანარჩენები კი... ეჰ, რამდენი ფათერაკია ქვეყანაზე... თქვენ ოდესმე ავარია შეგემთხვევიათ?

— ასეთი ამბების გაგონებაც არ მსურს, ივან გიორგევიჩ, გულის ფრიალი მაქვს, [illegible] დიდხანია თავი დავანებე, — უპასუხა დირექტორმა და, რაკი იგრძნო, რომ მანქანა კვლავ დიდი სისწრაფით მიდიოდა, ძალაუნებურად სპიდომეტრს შეავლო თვალი. ისარი ოთხმოცდაათს უჩვენებდა. ტანში ჟრუანტელმა დაუარა. სახეზე ეტყობოდა, რომ დილანდელი კეთილგანწყობილება გაუქრა, სიფერმკრთალე და სიმკაცრე მოჰკიდა. მალე მანქანამ ძნელ მოსახვევს მიაღწია, სწრაფად შემობრუნდა, კუდი მოიქნია, დირექტორი და მძღოლი ერთმანეთს მიაჯახა და ღელისკენ შეუდგა. მძღოლმა მის მხარეზე მოწოლილ წყრიალაშვილს ბეჭი შეაშველა, რომ წელში გამართულიყო. წყრიალაშვილმა ქუდი გაისწორა და მოხსნილი ხმით დაიწყო:

— ივან გიორგევიჩ, მოუწონს აჭარის ბუნება... ასეთ ადგილებში მანქანა ნელა, ოდნა-

მაგრამ თავი შეიკავა. აქა-იქ თვალი შეავლო კოლმეურნეთა გაწყობილ ეზოებს, სახლებსა და ბაღ-ვენახებს. მოწმენდილ ცას ლურჯი ფერი გადაეკრა, გაზაფხულის მზის შუქზე ნაირფერად ლაპლაპებდნენ ქუთაისისაკენ მიმავალი და იქიდან მომავალი მსუბუქი და სატვირთო მანქანები. დირექტორმა უცებ გადაწყვიტა ერთხელ კიდევ მშვიდობიანი გზით ეგრძნობინებინა მძღოლისათვის თავისი გულისწადილი.

— ხანში შევედი, ჩემო ივან გიორგევიჩ, თორემ უნდა გენახეთ ახალგაზრდობაში... ოოო, როგორ მესიამოვნებოდა მანქანით ქროლვა.

— გულში არ გაიღლოთ, გიორგი ივანოვიჩ, რომ მოგახსენოთ, თმაში ჭაღარა მოხუცებულობას როდი ნიშნავს, მე გატყობთ გული ახალგაზრდული გაქვთ.

— მატყობთ? როგორ! — დირექტორი პასუხის მოსასმენად მიუბრუნდა, მაგრამ თვალები სპიდომეტრისაკენ გაექცა. მანქანა გაფრენას აპირებდა, დირექტორი მიწას სცილდებოდა და ჰაერში [illegible]. ბოლოს, გიორგი შიშმა აიტანა, ჯავრისაგან ულვაში მოიწიწკნა, თითქო აზროვნების უნარი წაერთვა, ენა ჩაუვარდა, ხიფათის მოლოდინში რკალივით მოხრილი იჯდა მანქანაში და წარბებშეკრული გაჰყურებდა გზას.

— როგორ გატყობთ, გიორგი ივანოვიჩ, გული რომ ახალგაზრდული გაქვთ? აი როგორ!

— გაისმა ვაჟი კეთილაძის ხმა.

დირექტორი ცნობისმოყვარეობამ გამოაფხიზლა და ყური მიუგდო.

მძღოლი ხიბლით განაგრძობდა: აი წელან წყაროსთან ქალიშვილები რომ [illegible]... თქვენ მათ, ამ ხნის კაცმა, ოსტატურად შეავლეთ თვალი, მე იმ სარკიდან გიყურებდით, თვალებმოჭუტული რომ მიაჩერდებოდით მათ [illegible] კაბებს... ღიმილს გულით გამოხატავდით!

ამ სიტყვების გაგონებაზე გიორგის კინაღამ გული შეუღონდა, გაიფიქრა მკაცრად დატუქსავს მძღოლს გადაჭარბებული სითამამისათვის, მაგრამ მიიხედა თუ არა მისკენ, ვაჟი კეთილაძის [illegible] თვალების სოციარმა გამომეტყველებამ აიძულა ხმა შეენარჩუნებინა და დუმილი ამჯობინა. ამ საყამათოდ [illegible], მძღოლმა უცებ გამაყრუებელი სიგნალი მისცა. დირექტორმა წინ, ორმოციოდე მეტრის მანძილზე დაინახა იხვები, რომლებიც ფრთებგაშლილნი და თავაწეულნი მიბაჯბაჯებდნენ. მანქანა ისეთი სისწრაფით მიდიოდა, ეტყობოდა ჩვენი გმირი ასეთ დაბრკოლებას აინუნშიაც არ აგდებდა. გზაზე ალიაქოთი ატყდა, მანქანის ხმაურზე და დამფრთხალი იხვების ყიყინზე ძაღლებმაც [illegible], ეზოებიდან გამოცვივდნენ და გამოუდგნენ „ვოლგას". მანქანამ ზიგზაგებით გაიარა თავზარდაცემულ ფრინველებში.

— არ ყოფილან განწირულნი! — დაიძახა კეთილაძემ.

დაჭკვებულმა დირექტორმა უკან მოიხედა, ასფალტზე ტყლაპივით გაკრული მამალი იხვი შენიშნა, იქვე ჭიშკართან მდგარ დედაბერს მანქანისკენ ხელები გაეშვირა და გულმოდგინედ იწყევლებოდა.

— ივან გიორგევიჩ, ცოდვა დაიდევი, იხვი მოჰკალი! შიშისაგან გაბზარული ხმით მიმართა მძღოლს.

— ეს არაფერია, უფროსო, თქვენს მგზავრობას ერთი სულიერი მაინც უნდა შესწიროდა, დიდი კაცის ნატერფალი უნდა დაემჩნეს სოფლის შარა გზას, — სიცილით თქვა ივან გიორგევიჩმა და განაგრძო. — პირუტყვმა და ფრინველმა ისე შეაჩვია თვალი და ყური ტექნიკას, რომ გზაზე გვერდს არ გვიცლის. აი ხომ ხედავთ, იხვებმა რა გაგვიბედეს!

ამ საუბარში მოსახვევთან მისული უეცრად გამოჩენილ ავტობუსს შეეჩეხნენ.

— ივან გიორგევიჩ, მიშველეთ! — შეიცხადა დირექტორმა და მძღოლს მკლავში ხელი ჩასჭიდა. [illegible] მის მოლოდინში ყოფნა", — გაუელვა თავში.

— ნუ გეშინიათ, გიორგი ივანოვიჩ, მანქანის საჭე საიმედო ხელშია... მეტისმეტად ჯიუტ ბიჭს მეძახიან, საქმის ერთგული კაცი ვარ, [illegible] წელიწადია [illegible] დაუდევრობა [illegible] ვერ [illegible], რა უნდა მომივიდეს.

ამ სიტყვებმა კიდევ უფრო შეაშინა დირექტორი. ჩაფიქრდა... მოეჩვენა თითქო „ვოლგა" ღრუბლებთან ზვავით-ზვავით იწევდა, აღმოსავლეთისაკენ მიფრინავდა... მალე მანქანამ აიყვანა და წყრიალაშვილმა მარჯვნივ მწვანით დაფარულ ეზოში დიდ სახლზე თვალი მოჰკრა წარწერას: „ხილელ გუმბრის კოლმეურნეობა", გინა მივიდა.

— გააჩერე! — შესძახა კეთილაძეს.

მძღოლმა მანქანა სწრაფად დაამუხრუჭა. თავზე მტვრის ბუღი წამოადგათ. ღონემიხდილი წყრიალაშვილი ძლივს გადმოვიდა მანქანიდან, სული მოიბრუნა, ოფლი მოიწმინდა და მძღოლს უთხრა:

— გადმოდი, კოლმეურნეობის კანტორაში შევიაროთ.

— თქვენ ხომ მინისტრთან მიდიხართ ქუთაისში!

— დამავიწყდა, რომ მინისტრი ხვალ ჩამოდის, დღეს თერთმეტი რიცხვია, მე კი რატომღაც თექვსმეტი მეგონა.

— მაშ ხვალ წავალთ.

— ვნახოთ! რამდენი შვილი გყავს?

— ორი, გიორგი ივანოვიჩ, ქალ-ვაჟი!

— რა ხნისანი არიან?

— ვაჟი ხუთი წლისაა, გოგონა — სამისა!

— გიყვარს?

— თავი მოუკვდეს, ვისაც ცოლშვილი არ უყვარს! — გაკვირვებული მიაჩერდა დირექტორს.

— ვისაც უყვარს, იმასაც რომ თავი მოუკვდეს, ცოლშვილს რაღა ეშველება!

— ?!

— დღეს იხვი მოჰკალი, ხვალ ძაღლს ან ღორს გაიტან, მერე კი... ყოველთვის არ სწყალობს ბედი გაბედულებს! ხომ დაინახე, წყაროსთან იმ გოგონას გაუტყდა კოკა, რომელიც ყველაზე მეტად ხტოდა!

კეთილაძეს ხმა არ ამოუღია.

— დაბრუნდი ახლა წყალტუბოში!

— თქვენ...

— მე აქ დავრჩები, — თქვა გიორგიმ და კოლმეურნეობის კანტორისაკენ გასწია.

„ეჰ, ეს სულაც არ ჰგავს [illegible]!" — გაიფიქრა კეთილაძემ და მანქანა შემოაბრუნა.

რაღაც ჩასწყდა, რაღაც მძიმე დააწვა მის გულს, ძარღვებს...

* * *

გიორგი წყრიალაშვილს კოლმეურნეობის თავმჯდომარე გამოეგება, თავაზიანად მიესალმა.

გიორგიმ თავისი ვინაობა გააცნო და კოლმეურნეობის ამბები გამოჰკითხა.

— რამ შეგაწუხათ, ჭკვიანო, — ჰკითხა ბოლოს თავმჯდომარემ.

— ქუთაისიდან მოვდიოდი, მანქანა დაზიანდა და თქვენთან შემოვიარე... ალბათ ავტობუსი გამოივლის და...

თავმჯდომარემ დარაჯი აფრინა შოფერთან.

რამდენიმე წუთის შემდეგ კოლმეურნეობის მსუბუქი მანქანა კანტორის წინ დადგა.

წყრიალაშვილმა თავმჯდომარეს მადლობა გადაუხადა და წყალტუბოსკენ გაემგზავრა.

მანქანა ნელა მიდიოდა. სპიდომეტრი ხან ორმოცს უჩვენებდა, ხან ორმოცდაათს.

„აი მძღოლი, შეგნებული აქვს თავისი მოვალეობა" — ფიქრობდა წყრიალაშვილი.

შოფერმა შენიშნა, რომ სტუმარი ერთთავად ხელ სპიდომეტრს მიაჩერებოდა.

— ხომ არ გეჩქარებათ?

— პირიქით... მესიამოვნება ასე მგზავრობა.

— მეტი სიჩქარე ამ გზაზე არ შეიძლება!

— გეთანხმებით! ასეთ დაკლაკნილ გზაზე, რა თქმა უნდა...

გუმბრინის წარმოებას კარგა მანძილზე იყვნენ დაშორებულნი, როცა დირექტორმა წინ მიმავალი თავისი „ვოლგა" შენიშნა. გულმა რეჩხი უყო. სახეზე კმაყოფილების ღიმილმა გადაურბინა, დააკვირდა...

„ნომერი... ფერი... ნამდვილად ის არის! მაგრამ ასე ნელა რატომ მიდის? უთუოდ სხვა უზის საჭეს... როგორ ფრთხილად მიუძღვის! არა, ის არ არის! ნუთუ ასე უცებ... [illegible]!"

მალე მოსახვევში მანქანის ფანჯრიდან ვიღაცის ხმარმკლავმა და კოჭოტა თითებმა მოჰკრა თვალი.

თვალები აუციმციმდა, გაოცება ვეღარ დაფარა, გაეცინა...

— იმ მანქანას რომ წამოვეწიოთ, მიეცი სიგნალი, გაჩერდეს! — სთხოვა კოლმეურნეობის მძღოლს.

წყალტუბომშენის დასახლებას უახლოვდებოდნენ, როცა „ვოლგას" წამოეწიენ. სიგნალის გაგონებისთანავე კეთილაძემ მანქანა მარჯვნივ მისწია და გააჩერა.

წყრიალაშვილმა კოლმეურნეობის მძღოლს მადლობა გადაუხადა და თავის მანქანაში გადაჯდა. ჯიღა ბიჭს არც ახლა ამოუღია ხმა. ორივე ხელით მაგრად ჩასჭიდებოდა საჭეს და ძალიან ნელა, დაკვირვებულად განაგრძობდა სვლას.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲘ ᲬᲧᲐᲠᲝ

ᲒᲕᲘᲐᲜᲓᲔᲚᲤᲔᲝᲓᲐᲚᲣᲠᲘ ხანის საქართველოს ისტორიის მთელი რიგი საკითხების შესასწავლად ქართულ წყაროებთან ერთად ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს აღმოსავლურ ენებზე შედგენილ ნარატიულ და დოკუმენტურ წყაროებს. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ძალიან ცოტაა გაკეთებული აღმოსავლური წყაროების მეცნიერული პუბლიკაციის საქმეში. განსაკუთრებით აღსანიშნავია XV-XVIII საუკუნეთა ოსმალური ისტორიოგრაფიული ნაშრომები, რომლებშიც უხვად არის გაბნეული ცნობები საქართველოს შესახებ. ოსმალი ისტორიკოსები დაწვრილებით მოგვითხრობენ სამხედრო-პოლიტიკურ ამბებს, აგვიწერენ ბრძოლების ეპიზოდებს, მეფეთა და მთავართა საქმიანობას, საქართველოს ცალკეულ პროვინციებში ოსმალთა ლაშქრის შემოსევებს და სხვა.

ოსმალ ისტორიკოსთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს XVII საუკუნის ისტორიკოსს იბრაჰიმ ფეჩევის, რომლის თხზულების „ისტორიიდან" ამოკრებილი ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, თურქული ტექსტი ქართული თარგმანითურთ ამოიცა, შესავალი და შენიშვნები დაურთო პროფ. სერგი ჯიქიამ.* საქართველოს ისტორიის თურქული დოკუმენტური და ნარატიული წყაროების მეცნიერული პუბლიკაციის საქმეში პროფ. სერგი ჯიქიას ძალიან დიდი წვლილი აქვს შეტანილი.

იბრაჰიმ ფეჩევის მიერ საქართველოს შესახებ მოცემული ცნობები ავტორმა მოკლედ ჯერ კიდევ 1940 წელს გამოაქვეყნა მეორე მნიშვნელობით**). ამჯერად კი ეს ცნობები სრულად არის მოცემული.

ავტორის ნაშრომის პირველ გვერდებზე სპეციალური ლიტერატურის გათვალისწინებით საგანგებოდ აქვს გაშლილი XVI-XVIII საუკუნეთა ოსმალური ისტორიოგრაფიის საკითხები, დახასიათებული აქვს ის ეპოქა, როდესაც იქმნებოდა ისტორიული ქრონიკები. მართალია, ამ პერიოდის ოსმალური ისტორიოგრაფია ძალიან მდიდარია, მაგრამ ჩვენ ძალიან ცოტა რამ ვიცით მის შესახებ. წინამდებარე ნაშრომში კი საგანგებოდ არის წარმოდგენილი ზოგადად ოსმალური ისტორიოგრაფიის საკითხები და, კერძოდ, იბრაჰიმ ფეჩევის საქმიანობა.

ი. ფეჩევის მიერ აღწერილი ისტორია მოიცავს 1520-1640 წლებს. თავისი „ისტორიის" უმეტეს ნაწილს ის ისე გადმოგვცემს, როგორც თვითმხილველი. მან აღწერილი აქვს ყველა ის ლაშქრობა, რომლებშიც თვით ღებულობდა მონაწილეობას.

ი. ფეჩევის „ისტორიის" ღირებულებას ისიც ზრდის, რომ ავტორი მარტო თავის წინამორბედ ისტორიკოსთა ნარატიულ თხზულებებს კი არ იყენებდა, არამედ დოკუმენტურ წყაროებსაც. ეს გარემოება განასხვავებს მას წინამორბედი ისტორიკოსებისაგან. როგორც პროფ. ს. ჯიქია აღნიშნავს: „ი. ფეჩევი თავისი „თარიხის" წერისას დიდი გულმოდგინებით იყენებდა დოკუმენტურ წყაროებს. ის არა მარტო კითხულობდა და იყენებდა დოკუმენტურ მასალას, არამედ ამოიკითხავდა, სწერდა და თავის თხზულებაში ჩართავდა პირველწყაროებიდან „[illegible]" და სხვა ხასიათის საბუთებს. ამიტომაც იყო, რომ ი. ფეჩევი ჯერ დიდი ხანია იქცევდა მეცნიერთა ყურადღებას და მისი ნაწარმოები ითარგმნებოდა სხვადასხვა ევროპულ ენაზე" (იქვე, გვ. 17).

ნაშრომის მომდევნო ნაწილში მოცემულია ი. ფეჩევის „თარიხის" ქართული თარგმანი (გვ. 25-92). აქ მთლიანად არის მოტანილი ყველა ის ცნობა საქართველოსა და კავკასიის შესახებ, რაც ი. ფეჩევს აქვს მოცემული თავის „თარიხში". ცნობები მრავალფეროვანია და საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, მათი, როგორც წყაროების, მნიშვნელობა განუზომელია. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ XVI-XVII საუკუნეთა საქართველოს ისტორიის შესახებ არსებული აღმოსავლური წყაროები ჯერჯერობით არც თუ ისე ბევრია გამოქვეყნებული და სამეცნიერო მიმოქცევაში შემოსული, მაშინ უფრო ნათლად წარმოგვიდგება აქ მოცემული ცნობების ღირებულება ჩვენი ქვეყნის წარსულის შესასწავლად.

ყურადღებას იქცევს ი. ფეჩევის ცნობა 1536 წლის 4 ივლისს ოსმალთა მიერ საქართველოში თავდასხმის შესახებ (გვ. 25). წყაროს ცნობით, ოსმალებთან ბრძოლაში ქართველები დამარცხდნენ, ოსმალებმა უამრავი ნადავლი იგდეს ხელთ. ამის შემდეგ „სამშვიდობო ხანჯაყი ადგილის მოსახლეობამ მორჩილება გამოაცხადა და ხელთან ვალისა და მართებლის დანიშვნა სთხოვა".

ეს საქართველოს ისტორიის ის პერიოდია, როდესაც გაძლიერებული ოსმალეთი თანდათანობით იპყრობს სამხრეთ საქართველოს ტერიტორიებს და იქ ოსმალურ სოციალურ-პოლიტიკურ ინსტიტუტებს აარსებს. ქართულ ტერიტორიებზე „სანჯაყების" სისტემას ქმნის და ამით სამფლობელოდ იქცევა ახალ-ახალ ტერიტორიებს. ირან-ოსმალეთის დაუძინებელი მტრობის ასპარეზად ამ პერიოდში სწორედ ამიერკავკასია იქცა. ამ ლაშქრობებს უწინარესად მეტად არაიდური მოქმედება ამიერკავკასიის მშვიდობიანი მოსახლეობისათვის. ეს ლაშქრობები აქვს აღწერილი ი. ფეჩევს 1548-1554 წლის ამბების თხრობასთან დაკავშირებით (გვ. 25-31).

ირანის წინააღმდეგ 1578 წლის მუსტაფა ლალა ფაშას ლაშქრობას უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა ამიერკავკასიის ხალხებისათვის. ი. ფეჩევს დაწვრილებით აქვს აღწერილი ეს ლაშქრობა, ბრძოლისათვის [illegible], ლაშქრის ერზრუმიდან გამოსვლა და ჩილდირის ველზე ირანელებთან 1578 წლის 9 აგვისტოს გამართული დიდი ბრძოლა. ჩილდირის ველზე ოსმალეთის ლაშქარმა გაიმარჯვა. ი. ფეჩევის ცნობით, სამცხის ათაბაგი მანუჩარ ქაიხოსროს ძე იძულებული იყო გამარჯვებულს დამორჩილებოდა. იგი „[illegible] აზნაურით მოვიდა და მთის დერეფნიდან გამარჯვებულებს მოეგება და [illegible], რომ გამარჯვებული მხარე მას შეიწყნარებდა" (იქვე, გვ. 41). მანუჩარ ქაიხოსროს ძეს სხვა გამოსავალი არ ჰქონდა. მთელი სამცხე ოსმალთა ძლევამოსილ ლაშქარს ჰქონდა დაკავებული. ი. ფეჩევის ცნობით, ამ ლაშქრობის დროს ოსმალეთის ლაშქარმა დაიპყრო ჩილდირის, თმოგვის, ხერთვისისა და ახალქალაქის ციხეები. ოსმალეთის მთავარსარდლობის მიზანი მარტო ამ ციხეების დაპყრობა არ იყო, იგი [illegible] მთელ ამიერკავკასიას; უპირველეს მიზნად მას დასახული ჰქონდა საქართველოს და შირვანის დაპყრობა. ჩილდირთან გამარჯვების შემდეგ მუსტაფა ლალა ფაშა 24 აგვისტოს თბილისს მოადგა. ი. ფეჩევს აღწერილი აქვს ოსმალთა მიერ თბილისის აღება. თბილისის აოხრების შემდეგ ოსმალთა ლაშქარი კახეთისკენ დაიძრა. ი. ფეჩევის ნაშრომში ძალიან საინტერესო ცნობებია ლევან მეფის ძის — ალექსანდრე კახთა მეფის ოსმალთა ლაშქრისადმი მორჩილების თაობაზე; საყურადღებოა, რომ ალექსანდრე კახთა მეფეს ებოძა [illegible], რომლითაც „ის იღებს თავის თავზე [illegible] ხარაჯად ოცდაათი თუქი აბრეშუმი, 10 ლამაზი ჭაბუკი და 10 ბროლტანიანი ქალწული, 10 ფრთა ისპირის შევარდენი და ათი ფრთა კიდევ ქორი (?) მიმინო და (აგრეთვე მასში), რომ ის იქნება თავისი ქვეყნის მმართველი ბეგლარ-ბეგის სახელწოდებით" (გვ. 42).

ამ ცნობიდან ჩანს, რომ ოსმალეთის ხელისუფლებას სურს კახეთის განმგებელი მეფე კი არ იყოს, არამედ მისი [illegible] — ბეგლარბეგი. ამიტომ ოფიციალურ დოკუმენტში, სადაც აღნიშნულია ოსმალეთის ხელისუფლების წინაშე კახთა მეფის ვალდებულებები, იგი ბეგლარ-ბეგის სახელწოდებით იხსენიება.

ი. ფეჩევი საგანგებოდ ჩერდება საქართველოს მეფეების ჩამომავლობის შესახებ და ძალიან [illegible] ვითარებაში აგვიწერს ქართველი მეფეების დინასტიის ისტორიას; ჩანს, რომ ი. ფეჩევი ძალიან ბუნდოვანი და სავსებით მცდარი წარმოდგენისაა ქართველი მეფეების ჩამომავლობაზე. წყაროს ცნობით, მუსტაფა ლალა ფაშას ლაშქარი საქართველოს ტერიტორიიდან აზერბაიჯანში გადავიდა და შექის ციხე აიღო, საყურადღებოა, რომ ეს ტერიტორიები ოსმალო ხელისუფალთა მიერ ებოძა ლევან კახთა მეფის ძეს — ერეკლე მირზას. ი. ფეჩევი აღნიშნავს, რომ „[illegible] მიერ გაწყვეტილ სამხახური [illegible] ეს ვილაიეთი ებოძა და დანიშნა ლევანის ძეს ერეკლე მირზას" (გვ. 44).

შემდეგ ოსმალთა ლაშქარი ამარცხებს შემახიის მფლობელებს, იპყრობს თემურ-კაპუს ციხეს; როდესაც მთელი შირვანი ოსმალთა ლაშქრის განკარგულებაში გადავიდა, ქვეყანა აღწერილ იქნა, მთელ ვილაიეთში დაინიშნა [illegible] და „საფაშოები ჩაიწერა. წლიური შემოსავალი ორას, ორმოცდაშვიდ [illegible] ახსა" (გვ. 47-48).

ი. ფეჩევის ცნობით მუსტაფა ლალა ფაშამ ლაშქარი თბილისზე [illegible] გამოსაზამთრებლად. ოსმალეთის ლაშქარმა ერზრუმში გადაიზამთრა და გაზაფხულზე ახლად შეკრებილი სამხედრო ძალებით ახალ-ახალ ლაშქრობებს შეუდგა. თბილისის ციხე, რომელიც ოსმალებს ეკავათ, [illegible] მეციხოვნე ძალები მუსტაფა ლალა ფაშას შველას ითხოვდნენ. არზრუმში გამოზამთრებული ოსმალეთის ლაშქარი [illegible] შევიდა და დაარბია. ი. ფეჩევს აღწერილი აქვს ამ მხარის განადგურება ოსმალთა ლაშქრის მიერ. შემდეგ მოთხრობილი აქვს სარდალ მუსტაფა ლალა ფაშას სტამბოლში გაწვევისა და მის ადგილზე მესამე ვეზირის — სინან ფაშას დანიშვნის შესახებ.

ოსმალეთის ხელისუფლებამ ყიზილბაშთა ქვეყნებისაკენ ისევ მოაწყო ლაშქრობა 1580-81 წლებში. გარდა ამისა, რომ ოსმალეთს თავისი ინტერესები ამოძრავებდა ყიზილბაშური ირანის წინააღმდეგ. მუსტაფა ლალა ფაშას მიერ დაპყრობილი ამიერკავკასიის ქვეყნები ხელახლა დასამორჩილებელი იყო. ამიტომაც იყო, რომ ახალი სარდლის მეთაურობით არზრუმისა და შემდეგ ყარსის გავლით ოსმალთა ლაშქარი ისევ მოადგა თბილისს. ჩანს, რომ თბილისი ქედს არ იხრიდა ოსმალთა მოძალების წინაშე. ქართველები, როგორც კი ოსმალთა ლაშქარს შორს გაიგულებდნენ, დამოუკიდებლობისათვის იწყებდნენ ბრძოლას. ამას თვით ი. ფეჩევიც აღნიშნავს. იგი პირდაპირ მიუთითებს, რომ „თბილისის ბეგლარ-ბეგზე რამდენიმე მომჩივანი გაჩნდა. საქართველოს მეფეებში კი ყველაზე უფრო გაჭრიანი იყო გიორგი ბეგი, რომელსაც მორჩილება უწინდელი სარდლისათვის გამოეცხადებინა" (გვ. 61). როდესაც ოსმალთა ლაშქარი ხელახლა მოადგა თბილისს, იგი „მოვიდა, ისლამი მიიღო, სახელოვანი სერასქერის ხმლის [illegible]. თბილისის ვილაიეთი ებოძა მას (გიორგის) ტუღ-ფაშის სახელით" (იქვე, გვ. 61).

როგორც აღვნიშნეთ, ი. ფეჩევს თავის „ისტორიაში" ამბები მოთხრობილი აქვს ქრონოლოგიური თანმიმდევრობით. 1585 წლის მომდგარი ამბების გადმოცემისას ი. ფეჩევი გვიყვება ოსმალთა მიერ ლორისა და გორის ციხეების დაპყრობის, საქართველოს მოსაზღვრე რაიონებში ციხეების გამაგრებისა და დაცვის გაძლიერების ამბავს. ოსმალთა მიერ გორის აღების შემდეგ მათ ლაშქარს ნება დართეს მოსახლეობა აეძარცვათ. ისინი „შესეოდნენ საქართველოს გორიდან სამი დღის მანძილის სიშორეზე. უამრავი და უსაზღვრო ნადავლი იგდეს და ტყვეებიც წამოასხეს. იქ რომ ხუთი ათასი კომლი — (მთელი) ტომის მოსახლეობა გამოირეკეს და თან წამოიყვანეს. სხვა ძვირფას ნივთებს კი დასასრული არ ჰქონდა" (გვ. 77). გორის ახლო-მახლო სოფლების ასე განადგურების შემდეგ ოსმალთა ჯარი თბილისში მივიდა და მუსტაფა ლალა ფაშამ ლაშქრობის დროს ალექსანდრე მეფეზე დადებული ხარაჯის გადახდა მოსთხოვა. „ლევან ხანის შვილის — ალექსანდრე ხანზე დადებული იყო (ხარაჯა): ოცდაათი ტუქი აბრეშუმი და რამდენიმე ყმაწვილი და უბადლო (სილამაზის) მშვენიერი (ქალები) და წაიტანეს კიდევ რამდენიმე ისპირის მიმინო და რამდენიმე კიდევ ბალაბანი შევარდნები" (გვ. 77-78). ი. ფეჩევის ცნობით, ოსმალეთის ხელისუფლება საქართველოს მეფეებისაგან ითხოვს ხარაჯას და მას [illegible] ერთგულებას მორჩილებისა და დაქვემდებარების პირობით. 1585-86 წლებში „საქართველოსკენ ზღვაზე ჯარი გაიგზავნა და აქედან დამორჩილებულთაგან ხარაჯა და ბაჟი აიღეს. [illegible] მართველობისა. მათ შორის მოვიდა ლევან ხანის ძის ალექსანდრე ხანის ხარაჯა და ძღვენი, აგრეთვე (მთელი) სიმონ [illegible] გადასახადი და ბაჟი. მათი მორჩილება და დაქვემდებარება დადგინდა" (გვ. 78).

ი. ფეჩევის ზემოთაღნიშნული ცნობიდანაც ჩანს, რომ საქართველოს მეფეები ამ პერიოდში ოსმალეთის ხელისუფლებასთან გარკვეული პოლიტიკური დამოკიდებულების ფორმით იყვნენ დაკავშირებულნი. ოსმალეთის ხელისუფლება ჯერჯერობით მშვიდად ხარაჯითა და ბაჟით კმაყოფილდებოდა. ქართლის დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ სიმონ მეფეს, რომელიც ამ დროს გადასახადებს და ბაჟს უხდის ოსმალეთის ხელისუფლებას, ი. ფეჩევი ცხადად უწოდებს. ცხადია, ალექსანდრე კახთა მეფე და ქართლის მეფე სიმონი ყოველ შესაძლებელ შემთხვევაში შეეცდებოდნენ თავი დაეღწიათ ოსმალეთზე დამოკიდებულებისაგან.

ი. ფეჩევი 1624-1625 წლების ამბების გადმოცემისას შედარებით ვრცლად გადმოგვცემს გიორგი სააკაძის მიერ ყიზილბაშთა სარდლებისა და ლაშქრის გაწყვეტას და 1625 წლის 3 ივლისს მოურავის კაცების ოსმალთა ჯარის ბანაკში მოსვლას, ვრცლად აგვიწერს მათ შორის არსებულ მოლაპარაკებას, ამიერკავკასიაში ლაშქრობის შესახებ ოსმალეთის მთავარსარდლობისადმი მოურავის თხოვნას. ის უშუალო მონაწილე იყო ამ მოლაპარაკებისა და მისი სიმპათია, მოურავის მხარეს იყო, ის ოსმალეთის მთავარსარდლობას ურჩევს დაუჯეროს გიორგი სააკაძეს და ხელიდან არ გაუშვას ხელსაყრელი შემთხვევა — ამიერკავკასიის ქვეყნებში ლაშქრობა. შემდეგ ი. ფეჩევი ძალიან მოკლედ გვიამბობს ოსმალეთში გიორგი სააკაძის [illegible]. იგი წერს, რომ ხუნკარმა „მოურავი, მისი შვილი და მოურავის მხლებლები ორმოცამდე კაცი ერთბაშად დახოცა... ასეთი ამბავი ჯალათობა ჩაიდინა" (გვ. 85). ი. ფეჩევი ძალიან აფასებს გ. სააკაძის მიერ შაჰაბასისადმი მიყენებულ დიდ ზიანს; იგი აღნიშნავს, რომ „ამ ორმოცი წლის განმავლობაში შაჰს ასეთი მძიმე დანაკლისი არ ჰქონია. მოურავის მეოხებით და მოურავთანვე ბრძოლაში დაიღუპა და განშორდა წუთისოფელს შაჰის სახელოვანი ხანი, რომელთა ტოლები ყიზილბაშის ქვეყნებში არ მოიძებნებოდა" (გვ. 85).

როგორც აღვნიშნეთ, ირან-ოსმალეთის დაუძინებელი ომების ასპარეზი საქართველო იყო; ორივე ამიერკავკასიაში გაბატონებას ესწრაფოდა ერთმანეთს. ი. ფეჩევს აღწერილი აქვს ირან-ოსმალეთის ომები შაჰაბასის დროს. 1628-1629 წლების ამბების აღწერასთან ერთად ის გადმოგვცემს ცნობებს ოსმალთა მიერ არზრუმისა და ახალციხის ციხეების დაპყრობის შესახებ. ამ პერიოდში ახალციხე ყიზილბაშებს ჰქონდათ მიტაცებული. ოსმალეთი, რა თქმა უნდა, ამას ვერ შეურიგდებოდა. ახალციხე ამ პერიოდში ოსმალეთისათვის პლაცდარმი იყო საქართველოს სამეფო-სამთავროებზე თავდასხმისათვის. ამიტომ ვეზირი ქუსრევ-ფაშა, გარკვეული რაოდენობის ჯარით, გაიგზავნა ახალციხის ასაღებად. მან პირნათლად შეასრულა ხელისუფლების დავალება.

სარეცენზიო ნაშრომს დართული აქვს ვრცელი შენიშვნები ქართული თარგმანისათვის (გვ. 95-137). ამ ნაწილში ავტორი ქართული და თურქული პირველწყაროების, სპეციალური ლიტერატურის მოშველიებით საგანგებოდ იძლევა ისტორიულ-ფილოლოგიურ, ისტორიულ-გეოგრაფიულ და სოციალურ-ეკონომიურ და პოლიტიკურ ახსნა-განმარტებებს.

სარეცენზიო ნაშრომის ბოლო ნაწილში დართულია წყაროს თურქული ტექსტი (გვ. 3-63); ავტორი მრავალგან ასწორებს წაკითხულ ადგილებს და იძლევა ტექსტის დადგენილ ვარიანტს.

ქართული ისტორიოგრაფიის ამ მნიშვნელოვან შენაძენს, ვერავინ გვერდს ვერ აუვლის, ვინც კი სერიოზულად არის დაინტერესებული საქართველოს და კავკასიის სხვა ხალხებთან ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიის საკითხებით.

ᲜᲝᲓᲐᲠ ᲨᲔᲜᲒᲔᲚᲘᲐ
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი.

---

* იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოს და კავკასიის შესახებ. თბილისი, 1964. ნაშრომი გამოსცა მეცნიერებათა აკადემიის „საქართველოს შესახებ არსებული უცხოური წყაროების კომისიამ".

** ს. ჯიქია, იბრაჰიმ ფეჩევი საქართველოს შესახებ. აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე, V-VI, თბილისი, 1940, გვ. 369-389.

ᲐᲛᲝ ᲡᲐᲰᲘᲐᲜᲘ

ᲓᲐ ᲒᲐᲡᲬᲘ ᲘᲡᲔᲕ

მზის ჩასვლის ჟამი, მეგობარო, ახლოა,
ვაგლახ!
შენზედ შენს ჩრდილს, ვით არის ახლა
მრავალჯერ გრძელი შენს მაღალ ტანზე;

და ტანი შენი ჩრდილსა სცემს განზე,
ფარავს ქარაფებს
და იმ ხეობის კალთას განაფენს, —
მწვერვალისაკენ ბნელში [illegible]
სად გზა თუ განძი...

მიწვდი შენს თავზე ჩრდილს თეთრი
ღრუბლის —
სილბილით სავსეს
და წინდა თვალი შეამშრალე მაშვრალი
შუბლი,
და გასწი ასე, —
რათა იხილო საკუთარი მზის ჩასვლის
ჟამი
მთის კენწეროზე...

მთის კენწეროზე უფრო გვიან ჩამოდის
ღამე.

ᲛᲖᲘᲡ ᲩᲐᲡᲕᲚᲐ ᲛᲗᲔᲑᲨᲘ

ხედავთ რა ხდება, რას ვპირდება:
მზის ბოლო სხივი ცას ეპარება,
მზე ჩამავალი მთას ეფარება.

მთის ჩრდილმა კლდეთა ჩრდილის
ფარებით,
კლდის ჩრდილმა ხეთა ჩრდილის ფარებით
შეკრა ხეობის ფართო კარები;

ხემ გაატანა ჩრდილი მდინარეს,
ჩრდილი ახლა რაა, ვინ არის?..

ასე გრძელდება დაუსაბამოდ:
ყოველი ჩრდილი ჩრდილს ეფარება
და იქცევა ზღაპრულ საღამოდ,
ხედავთ რა ხდება, რას ვპირდება?..

ᲐᲥ ᲨᲔᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲛᲗᲔᲑᲖᲔ ᲛᲗᲔᲑᲘᲐ

აქ შემართული მთებზე მთებია
და ბნელ ხევებში ხევები ღამის...
არ მჯერა ჩემი მზის ჩასვლის ჟამის:
აქ შემართული მთებზე მთებია...
აი, სამშობლო მშობელი მამის,
მის კლდეს რა ძვლად [illegible];
აქ შემართული მთებზე მთებია
და ბნელ ხევებში ხევები ღამის,
არ მჯერა ჩემი მზის ჩასვლის ჟამის...

ᲨᲔᲛᲝᲓᲒᲝᲛᲐ

[illegible] ტბიდან და [illegible]
[illegible] ამხელა სარკე...
ღრუბლებს ჩრდილები ცასა სტაცებენ
და ფრთებით მიაქვთ სამხრეთისაკენ;
სამხრეთისაკენ მიქრის, მოზუზუნე
[illegible] ქარი [illegible]
და... ფოთოლცვენის ის აგონია —
[illegible] ქარიშხლად [illegible] —
ამოუცნობელ ცას ჩრდილი მგონია.

• • •

ხეობას ოქროს ნისლი ეფინა:
ოქროსფერ ზღაპარს ქარი მოდენის
და [illegible] ფოთლის ტალღებს
ლოდები...
[illegible], მეფე მეფერად
ამ შემოდგომის ქარის [illegible]
ნადავლით არიან დაბრუნებული...

სომხურიდან თარგმნა
ᲒᲘᲕᲘ ᲨᲐᲰᲜᲐᲖᲐᲠᲛᲐ

ვახტანგ ჭაბუკიანის შემოქმედებითი საღამო

შესაძლოა ვახტანგ ჭაბუკიანის იშვიათ არტისტულ ბუნებაში ყველაზე გასაოცარია მისი უჩვეულო შემოქმედებითი შემართება, შეუნელებელი სწრაფვა ახალი მწვერვალების დასაპყრობად და ყოველგვარი ასაკობრივი ნორმების გადამლახველი ტიტანური ძალა.

ასე წარსდგა ვ. ჭაბუკიანი დღესაც მაყურებლის წინაშე ზ. ფალიაშვილის სახელობის თეატრში თავის შემოქმედებით საღამოზე.

კვლავ გაიელვეს სცენაზე ჭაბუკიანის მიერ შექმნილმა გმირებმა. ისინი სხვადასხვა ხალხებისა და ეპოქის შვილები არიან, მაგრამ მათ აკავშირებთ სამშობლოსა და თავისუფლებისათვის თავდადება.

ვ. ჭაბუკიანი — მონა ადანის ბალეტიდან „მეკობრე".

ამ საღამოს ჩვენ ვიხილეთ ჭაბუკიანისეული მონა (ადანის ბალეტი „მეკობრე"), რომლის ძველ კანონიკურ ფორმებში ჯერ კიდევ სულ ახალგაზრდა ჭაბუკიანმა თავისი შემოქმედებითი შენაკადი შეიტანა. იგი მონის ვარიაციას კი არ ასრულებს, არამედ ცეკვის მგზნებარე ენით გადმოგვცემს მშფოთვარე განწყობილებას ადამიანისა, რომელიც ისწრაფვის თავისუფლებისაკენ.

უთუოდ ამ შენაკადს გულისხმობდა ა. სვობოდინი, როდესაც წერდა ჭაბუკიანზე: „ბალეტში ამ ბრწყინვალე ადამიანის გამოჩენამ გადაატრიალა ყოველგვარი წარმოდგენა კლასიკური მოცეკვავის შესაძლებლობის შესახებ". ამ გადატრიალების სრული გამოვლინებაა პირველი ქართული ბალეტი ა. ბალანჩივაძის „მთების გული", რომელშიც კლასიკური და ხალხური ცეკვის შერწყმის საფუძველზე ვ. ჭაბუკიანმა უსაზღვროდ გააფართოვა და გაამდიდრა ბალეტის საცეკვაო ლექსიკა, შექმნა მისი გამომსახველობის სრულიად ახალი შესაძლებლობები.

ამაში ერთხელ კიდევ ნათლად დავრწმუნდით, როდესაც ვ. ჭაბუკიანის შემოქმედებით საღამოზე „მთების გულის" მეორე მოქმედებას ვუყურებდით.

მხოლოდ ცეკვის განახლებული ენით შეეძლო ჭაბუკიანს გამოეხატა ბალეტში ახალი გმირული ეპოქის დევიზი: „ადამიანი — ამაყად ჟღერს". ეს არის ჯარჯის განთქმული ვარიაცია — ცაში მოლივლივე არწივის სახე, რომელიც ახალი რომანტიკულ-გმირული ბალეტის ემბლემად იქცა. ეს ვარიაცია ლირიკული და მგზნებარე დუეტის ნაწილია. მას კი კონტრასტულად მოსდევს გლეხთა აჯანყების მრისხანე სცენა. აჯანყებულთა გამოსვლაში ჯარჯის მეთაურობით ჭაბუკიანმა გამოიყენა უძველესი ქართული ცეკვა ხორუმი. ეს ბალეტში ნოვატორული სიტყვა იყო, რომლითაც ახალგაზრდა ქორეოგრაფმა ხალხისა და გმირის განუყოფელი ერთიანობის იდეა გამოხატა.

შემოქმედებით საღამოზე ვ. ჭაბუკიანმა კიდევ ორი თავისი გმირი გვიჩვენა — მზიური ჭაბუკი რაველის ბალეტ „ბოლეროდან" და მგზნებარე ფრონდოსო კრეინის „ლაურენსიადან". ამ ორი გმირის სახეც მთელი თავისი სიღრმით ხალხთან ერთიანობაში იხსნება. ეს იდეა ჭაბუკიანმა მისთვის ჩვეული სიღრმითა და ოსტატობით გამოხატა ყველა თავის ბალეტში („გორდა", „სინათლე", „ოტელო" და სხვ.).

რა ძლიერი შემოქმედებითი აზრი და უმდიდრესი ფანტაზია უნდა ჰქონდეს ბალეტმაისტერს, რომ ასე სრულყოფილად და მრავალფეროვნად გამოხატოს ხალხისა და გმირის იდეურ-ემოციური ერთიანობა!

ბალეტის მშვენიერ ფორმებში ცხოვრების ასეთი სისრულით ასახვა ჩვენთვის იმიტომაც არის ძვირფასი, რომ დიდი იდეების შემცველი სახეები აქ იმ განმაზოგადოებელ სიმაღლეზეა აყვანილი, როდესაც სილამაზისა და სიკეთის, მშვენიერისა და ჰუმანურის ცნებები ერთმანეთში ჰარმონიულად არის შერწყმული.

იქნებ ამით გამოიხატება ჭაბუკიანის ბალეტების მომაჯადოებელი ძალა, იმ ბალეტებისა, რომლებიც მაყურებელს ცხოვრებისეული სიმართლითა და სილამაზითაც ხიბლავს და, ამასთან, აკეთილშობილებს და სულიერად ამაღლებს კიდეც.

ყველაზე დიდი საოცრება ჭაბუკიანისა მაინც ის არის, რომ იგი სპექტაკლის მონაწილეთ თავისი იშვიათი არტისტული ტემპერამენტითა და შთაგონების ცეცხლით აღანთებს, ამავე დროს მაყურებელსაც იტაცებს და სცენაზე მომხდარი ამბის გულმხურვალე მონაწილედ ხდის. ასევე მოხდა შემოქმედებით საღამოზეც. სიყვარულისა და მადლიერების გრძნობით ანთებული დარბაზი მხურვალედ უხდიდა მადლობას დიდ ხელოვანს.

ქორეოგრაფიის ისტორიაში ბევრი შესანიშნავი ბალერინას სახელი გვხვდება, რომლებმაც შექმნეს თავიანთი დროის სულისა და განწყობილების გამომხატველი ბრწყინვალე სახეები. ასეთი სახეებია ტალიონის სილფიდა, ელსლერის ესმერალდა, პავლოვას მომაკვდავი გედი.

მაგრამ წარსულის ვერცერთმა მოცეკვავე მამაკაცმა ვერ შექმნა საბალეტო სცენაზე გმირის მნიშვნელოვანი სახე. თავის დროის გამოჩენილი ვირტუოზებიც კი მხოლოდ დაქვემდებარებული პარტნიორის როლს ასრულებდნენ ბალერინებთან.

ამ მხრივ ჩვენი თაობა უფრო ბედნიერი გამოდგა — ჩვენ შეგვეძლია ვიამაყოთ, რომ სწორედ ჩვენი თანამედროვეა მსახიობი, ცეკვის დიდოსტატი, რომელმაც თავის შემოქმედებაში განასახიერა მშობლიური ხალხის სულისკვეთება, მისი უმაღლესი იდეალები, მსახიობი, რომლის სცენაზე ყოველი გამოსვლა ქორეოგრაფიის ენით ამღერებული ბრძოლისა და გამარჯვების შთაგონებული ჰიმნია.

ნათო ჩხეიძე

იუმორი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დისერტანტი კოდალა

შალვა შუბლაძე

დილიდან შეღამებამდის ხეს უკაკუნებს კოდალა.
ვერც [illegible] მოკორტნა, ვერც [illegible].
შოშიამ ჰკითხა: — ძმობილო, რა [illegible], რომ გიცნო,
ნუთუ ტვინი არ შეგერყა ხეზე [illegible]?
კოდალამ უთხრა: — ვერ ხედავ, დისერტაციას ვამზადებ
ფუღუროს წარმოშობისა და ხის [illegible] დარიგებზე.
მალე დოქტორი გავხდები, დიდ [illegible],
— კანდიდატიც ხარ? რომელი მეცნიერების [illegible]?
— რომელი მეცნიერების? (კოდალა მწარედ ფიქრობს).
სოლომონ ბრძენი ხომ არ ხარ, ასეთი კითხვა იქნება?
შოშიამ უთხრა: მითხარი, როგორც ძმასა და მეგობარს,
როდისღა უნდა დაწერო, მარტო რახუნი გვყოფნის?
კოდალამ ჩაიცინა, თან მეგობრულად გაიკრა ფრთა:
— აგერ [illegible] თუ ხედავ, კაცი რომ არ თვლის არაფრად,
სულ ტვინად არის ქცეული, არც არის [illegible].
ბევრი — დიდი თუ პატარა, მისი მეშვეობით გამხდარა.
სულ შრომაშია საწყალი, წამით არაა მოცლილი,
სამაგიეროდ ფულამდე [illegible] მისი [illegible].
შოშიამ უთხრა: — მრცხვენია, შენს ქცევას როგორ ვუყურო,
სხვა თემას ვერ მიაგენი, ვის რად სჭირდება ფუღურო?
— მეკი რაიმედ მჭირდება? მაგის არც მესმის, არც [illegible],
შენ ხარისხი თქვი, მერე კი ფული [illegible],
ბოლოს დაფიქრდა კოდალა, უთხრა: — რაც აქ ვთქვი, ძმობილო,
თუ არ მომწრა საქმეურად, არავის შეატყობინო!

მაშ, მელაზე დაწერე

დათვს ეწვია ტურიკო
ლეკვითა და არაყით,
შეეხვეწა: სულიკო,
დამიბეჭდე არაკი.
როცა არყით გაბრუვდა,
წაიკითხა დათუნამ,
თქვა: კარგია არაკი,
ლაპარაკი რათ უნდა!

მაგრამ, შიგა სწერია —
ლომი ავის მქნელია...

სჯობს, რომ ლომი წაშალო
და ჩასწყვიტო მელია,
ლომთან ბრძოლა ძნელია,
ხოლო წუწკი მელია.
რას დაგვაკლებს, ის ჩვენზე
არც თუ ლომიერია.
მაშ,
მელაზე დაწერე,
რაც
მანდ ლომზე სწერია!

მიხა შილდელი

უნგრეთ-საქართველოს მეგობრობის ერთი ფურცელი

ბუდაპეშტში ყოფნისას გავიცანი ისტორიკოსი დოქტორ ტირედ ლაიოში. როცა მან გაიგო, რომ ჩემი მეორე სამშობლო საქართველოა, დაინტერესდა და სტუმრად მიმიწვია. დოქტორი ლაიოში უდიდესი სიყვარულითა და პატივისცემით მელაპარაკა საქართველოზე, მის შესანიშნავ, სტუმართმოყვარე ხალხზე. საუბარში მან განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია მე-18 საუკუნის ისტორიას, როდესაც საქართველოში ერეკლე მეორის სამეფო კარზე ცხოვრობდა და მოღვაწეობდა უნგრელი ექიმი და გეოლოგი იაკობ რეინეგსი. ამ ისტორიულ ამბებზე ტირედ ლაიოშს დაწერილი აქვს მეტად საინტერესო რომანი „იაკუბ ბეგი". მე შევეცდები ეს რომანი ავტორისავე თხოვნით ვთარგმნო ქართულ ენაზე თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტის ყოფილ სტუდენტ მაიაურაძესთან ერთად, რომელმაც ამ ინსტიტუტში შეისწავლა უნგრული ენა.

ახლა კი გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს" მკითხველებს ვთავაზობთ ტირედ ლაიოშის წიგნის („რუსეთ-უნგრეთის სამედიცინო ურთიერთობა", ბუდაპეშტი, 1960 წ.), ნაწყვეტს. ლაიოშის წიგნში მოთხრობილია იაკუბ რეინეგსის ცხოვრება და მოღვაწეობა.

ილონა ბეკეში

იაკუბ რეინეგსი დაიბადა 1744 წლის 28 ნოემბერს საქსონიის პატარა ქალაქ ეისლებენში. მისი ნამდვილი გვარი იყო ერლიხი. 14 წლის ასაკში იაკუბმა უკვე დაიწყო მამის პროფესიის, ქირურგიის შესწავლა. 4 წლის შემდეგ იგი ლაიფციგშია და მედიცინის სამედიცინო ინსტიტუტში. ამ დროისათვის რეინეგსი საკმაოდ ღრმად იყო დაუფლებული მედიცინას და ცდილობდა გაეღრმავებინა ექიმის ცოდნა. იგი იყო პროფესორ რიედიგერის საყვარელი სტუდენტი და ასისტენტი. რიედიგერიც გატაცებული იყო ალქიმიით. რეინეგსი მის რეცეპტებს დიდად აფასებდა და სათუთად ინახავდა, მაგრამ 14 წლის შემდეგ, აზიაში მოგზაურობისას, ერთხელ მათ ქარავანს ყაჩაღები დაესხნენ თავს და ყველაფერი წაართვეს, მათ შორის ჩანაწერები, რომელშიც ეს რეცეპტები ეწერა. გუტენბერგის და მისი თანამედროვეების ჩანაწერებიდან ჩანს, რომ რეინეგსს ძალიან სდევნიდნენ ალქიმიაში მუშაობისათვის, რაც მაშინ აკრძალული იყო; ამისათვის ის ინსტიტუტიდანაც გარიცხეს და ქალაქიც დაატოვებინეს, მაგრამ ამაზე დიდად არ დასწყვეტია გული, რადგანაც ცოდნის შეძენის მიზნით მაინც მუდამ მოგზაურობაზე ოცნებობდა. ასევე იგი გატაცებული იყო თეატრალური ხელოვნებითაც, რაც მაშინ მეტად დამამცირებელ საქმედ ითვლებოდა. რეინეგსი გადავიდა ჩეხოსლოვაკიაში. ერთხელ შეხვდა მოხეტიალე მსახიობთა ჯგუფს, რომლის საუკეთესო მსახიობი ავად გახდა. რეინეგსმა მას მკურნალობა დაუწყო, მაგრამ ვერ გამოაჯანმრთელა სპექტაკლის დაწყებამდე და, წარმოდგენა რომ არ ჩაშლილიყო, თვითონ იკისრა მისი როლის შესრულება. დებიუტმა წარმატებით ჩაიარა. ამის შემდეგ ერთხანს დარჩა მსახიობებთან და მათთან ერთად მოგზაურობდა.

1768 წელს რეინეგსი ლაიპციგში ჩადის, და, მიუხედავად პოლიციის დევნისა, ისევ განაგრძობს საიდუმლო მუშაობას ალქიმიაში. 2 წლის შემდეგ, ვენაში მარია-ტერეზას საკარო თეატრის ხელმძღვანელმა, გრაფმა იანოშ კომარმა მიიღო თავის დაში. ისინი მანამდე იცნობდნენ ერთმანეთს, რადგან გრაფი კომარიც გატაცებული იყო ალქიმიით. კომარი საკმაოდ განათლებული და მდიდარი კაცი იყო და ბევრს მოგზაურობდა, რასაც მოწმობს მის მიერ ლათინურ ენაზე დაწერილი წიგნი „ჰოს ტუმუს". მაგრამ ამ გაუთავებელმა მოგზაურობებმა და ალქიმიაში უნაყოფო მუშაობამ იგი გააღარიბა, და გადაწყვიტა რეინეგსთან ერთად რამდენიმე წლით გაშორებოდა ევროპას, რათა გაეუმჯობესებინა მატერიალური პირობები. ამისათვის კი აუცილებელი იყო რეინეგსს დაემთავრებინა სამედიცინო ინსტიტუტი. მაგრამ მას, როგორც განდევნილ ალქიმიკოსს, მსახიობსა და ამავე დროს პროტესტანტს, არ შეეძლო თავისი ნამდვილი გვარით, ერლიხით, შესულიყო ავსტრიის რომელიმე ინსტიტუტში. ამიტომაც კომარმა შეცვალა გვარი რეინეგსად და იგი 1771 წ. შეიყვანა სომბატჰელის სამედიცინო ინსტიტუტში, რომელიც 3 წლის შემდეგ ისეთი დიდი წარმატებით დაამთავრა, რომ თვით დედოფალმა მარია-ტერეზამ, მიუხედავად მისი პროტესტანტობისა, პირადად გადასცა უმაღლესი ჯილდო, ოქროს მედალი. ამის შემდეგ რეინეგსი ამთავრებს იმ დროისათვის ევროპაში ცნობილ სამთო-საინჟინრო ინსტიტუტს. 1776 წელს გრაფი იანოშ კომარი და რეინეგსი გაემგზავრნენ თურქეთში. ტოკატში რამდენიმე წელს დარჩნენ. აქ რეინეგსმა როგორც საუკეთესო ექიმმა, დიდი პოპულარობა მოიპოვა. მან აქვე გაიცნო ქართველი თავადი აბაშიძე, რომელიც ერეკლეს ჰყავდა გაგზავნილი საგანგებო სახელმწიფო მისიით თურქეთში. საქართველოში დაბრუნებისას მას თავს დაესხნენ ყაჩაღები და დაჭრეს. რეინეგსი, როგორც ცნობილი ექიმი, სამკურნალოდ მიიწვიეს და მანაც მალე განკურნა ქართველი თავადი. თავადმა საქართველოში მიიწვია რეინეგსი. თვითონ ერეკლე მეფისაგანაც მიიღო წერილობითი მიწვევა, მაგრამ მას სურდა შემთხვევით [illegible] და ვიდრე საქართველოს ეწვეოდა, ენახა [illegible]. მართლაც მოინახულა ეს შესანიშნავი ტაძარი და შემდეგ ერეკლე მეორის მოციქულებთან ერთად თბილისისაკენ გამოემგზავრა. რეინეგსი შემდეგში დიდი სიამოვნებით იგონებდა საქართველოსკენ მომავალ გზას, ულამაზეს, ამწვანებულ მთებს და ველებს, მშვენიერ, თვალწარმტაც ბუნებას, იმ შესანიშნავ ქართველ მთიელებს, რომელთაც საამოვნო სიმღერები სამუდამოდ დაამახსოვრდა, მაგრამ განსაკუთრებული პატივისცემით იგონებს ერეკლე მეორეს, როგორც ყოვლად [illegible] საუკეთესო ადამიანური ღირსებებით შემკულს, დიდად განათლებულს, გულისხმიერს, თავისი ხალხის კეთილდღეობისათვის თავდადებულ ადამიანს და სხვისი ნიჭისა და ცოდნის საუკეთესო შემფასებელს. რეინეგსზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა ერეკლემ, როგორც მეფემ, რომელიც დიდად აფასებდა ყოველივე კარგს, საუკეთესოსა და პროგრესულს. მისივე სიტყვებით, რეინეგსს მხოლოდ აქ შეეძლო გამოეყენებინა მთელი თავისი ცოდნა და შესაძლებლობა, შეეძლო განეხორციელებინა ყველა თავისი მეცნიერული ჩანაფიქრი და სურვილი, რომელსაც შესანიშნავად გაუგებდა და დაუფასებდა თვითონ მეფე. საქართველომ რეინეგსსა და კომარს თავიანთი სამშობლო უნგრეთი მოაგონა. საქართველო თურქებისა და სპარსელებისაგან ისევე განიცდიდა მუდმივ თავდასხმებს, როგორც უნგრეთი გერმანელებისაგან, აქაც დიდგვაროვანი თავადები ისევე ებრძოდნენ და ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს, როგორც უნგრეთში. ერეკლე, რაც შეეძლო, ზრუნავდა ქვეყნის მოწყობისათვის. მიუხედავად მძიმე ეკონომიური და პოლიტიკური პირობებისა, ერეკლემ გამოსცა ბრძანება საყოველთაო განათლების შესახებ, მაშინ როცა ევროპის ბევრ სახელმწიფოს გაცილებით უკეთეს პირობებში ეს ჯერ არ გაეკეთებინა. რეინეგსს უსაზღვროდ უყვარდა საქართველო, მისი ნახვის დღიდან სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე და მის გონებას ერთი წუთითაც არ შორდებოდა საყვარელი მეფის — ერეკლეს სახე. „მეფე ერეკლე ყველაზე საუკეთესო ადამიანია მათ შორის, ვისაც კი მე შევხვედრივარ ცხოვრებაში და ყველაფერი საუკეთესო, რაც კი შეიძლება ადამიანს გააჩნდეს, აქვს მას. ჩვენი მეგობრული დამოკიდებულება იქამდე მივიდა, რომ მიუხედავად ჩემთან მეფესთან მისი ახლო [illegible] მეგობრობისა, მე შემეძლო მისი [illegible] მისთვის", — წერდა რეინეგსი.

მაშინდელი საქართველოს გამოჩენილი მოღვაწეები რეინეგსის სიცოცხლემდე მასთან მუდმივ კონტაქტში იყვნენ და წერილებს სწერდნენ ერთმანეთს. ეს წერილები დღესაც შემონახულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში. ერეკლე II და შემდეგ მისი მემკვიდრეები თითქმის ნათესაურ დამოკიდებულებაში ყოფილან მასთან, რასაც ადასტურებს ერეკლეს და რეინეგსის წერილები, მას შემდეგ მოწერილი, რაც იგი რუსეთში, ეკატერინე II-ის სამეფო კარზე გადავიდა. 1783 წელს რეინეგსი გადადის ასტრახანში, სადაც 1 წელი მუშაობს ქალაქის მთავარ ექიმად. 1784 წელს ეკატერინე მეორემ იგი სამეფო კარზე [illegible] მიიწვია, 1786 წლის 2 მარტს კი მას მთავარ ექიმად და სამედიცინო სასწავლებლის მასწავლებლად ნიშნავს. ერთი წლის შემდეგ რეინეგსი იკავებს სამედიცინო მეცნიერების თავმჯდომარის მოადგილის ადგილს, რომელიც მანამდე ეკავა ასევე უნგრელ ექიმს, დოქტორ როჟონი პალ კერესტეს; გარდა ამისა, ასწავლის ქირურგიას სამედიცინო ფაკულტეტზე, სადაც, [illegible], მუშაობს სიკვდილამდე. ინსტიტუტში სამუშაოდ რეინეგსი თვითონ არჩევდა საუკეთესო ექიმებს და აგროვებდა სასწავლო მასალას. უმისოდ არცერთი რთული ოპერაცია არ გაკეთებულა. რეინეგსი განაგრძობს მიმოწერას საქართველოსთან, განსაკუთრებით ერეკლეს ერთ-ერთ მემკვიდრე ვახტანგთან. საქართველოდან მას მიმართავდნენ სამედიცინო რჩევისათვის. 1792 წელს ერეკლემ მას სამკურნალოდ გაუგზავნა თავადი [illegible]. ამავე წელს რეინეგსი წერს გარსევან ჭავჭავაძეს, მსურს საქართველოში ჩამოვიდე და შემდეგ ინდოეთში გავემგზავრო.

გარსევან ჭავჭავაძეც უმალ ამბობს, რომ ყველაფერი აღფრთოვანებითა და სიყვარულით დაიხედებოდა. რეინეგსი, ამხანაგების გადმოცემით, თვითონ დადიოდა ფოსტაში წერილების წასაღებად. ერთხელაც, ზამთარში დიდხანს შერჩა ფოსტაში, სადაც ცხელოდა, და როცა გარეთ გამოვიდა, გაცივდა და ამით გახდა ფილტვების ანთებით. რეინეგსი გარდაიცვალა 1793 წლის 10 მარტს, 49 წლისა. მისი ფერფლი დასაფლავებულია პეტერბურგის ლუთერანულ ეკლესიაში.

[illegible]

სანდრო მირიანაშვილის საღამო

გასული ორშაბათიდან დაწესდა მწერალთა კლუბის დღე. ეს პირველი დღე საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, ცნობილი კომპოზიტორის სანდრო მირიანაშვილის შემოქმედებითი საღამოთი აღინიშნა.

შემთხვევითი არ იყო ეს შეხვედრა. არ დარჩენილა თითქმის არც ერთი ქართველი პოეტი, რომლის ლექსიც სანდრო მირიანაშვილს არ აემღერებინოს მუსიკის მომხიბლავ ენაზე. მისი მუსიკა უაღრესად ეროვნულია, მელოდიური და გულში ჩამწვდომი.

სანდრო მირიანაშვილის ამ დამსახურებაზე ილაპარაკა თავის შესავალ სიტყვაში საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ ირ. აბაშიძემ. საღამოზე სიტყვები წარმოთქვეს საქართველოს სახალხო პოეტმა გ. ლეონიძემ, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანმა ი. ნონეშვილმა, პოეტებმა ნ. გურეშიძემ, მ. ფოცხიშვილმა, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა შ. გოზალიშვილმა, კომპოზიტორის სკოლის ამხანაგმა შუშანა მგელაძემ, ხელოვნებისმცოდნე გ. დოლიძემ.

საღამოს მეორე ნაწილში კომპოზიტორი მასპინძლებს თავისი, ეროვნული, შემოქმედებითი ანგარიშით წარუდგა. დარბაზში გაისმა ქართველი კლასიკოსებისა და თანამედროვე პოეტების ლექსებზე შექმნილი სიმღერები. რომელთაც თვითონ კომპოზიტორი [illegible] თბილისის საქალაქო ტრანსპორტის სამმართველოსთან არსებული სახალხო კვარტეტი, საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტების ნ. ტოგონიძის, ქ. კაპანაძის, მომღერლების შ. ბადურაშვილის და ა. დოლკაძის შემადგენლობით, ასრულებს აკაკის „განთიადს" და გალაკტიონის „მერის". კომპოზიტორის ცნობილ სიმღერებს ასრულებენ მისი ქალიშვილი ქ. მირიანაშვილი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი მ. ნაკაშიძე, მომღერლები მ. ქიქურაშვილი, დები ქარხაულიძეები, ვ. შოშიაშვილი და გ. ქოქიაშვილი.

მნათობი № 3

გამოვიდა ჟურნალ „მნათობის" მესამე ნომერი. ჟურნალი იხსნება წერილით „რუსთაველის შრომის პირველი ლაურეატები". „მნათობის" ამ ნომერში მკითხველები გაეცნობიან გიორგი ლეონიძის, კარლო კალაძის და [illegible] ლექსებს, შალვა ფორჩხიძის პოემის „თეთრი მზის" ცალკეულ თავებს, სერგო ჭილაიას — „ეკატერინე ჭავჭავაძეს", (ქრონიკა, გაგრძელება), ა. სულაკაურის „მხატვრის გუშინდელი დღეს", (მოთხრობა), ა. ქუთათელის „ნაპირის კალთზე", ოთ. ჩხეიძის „კვერნაქს" (რომანი), თომას მანის „პატარა ბატონ ფრიდემანის" (მოთხრობა, თარგმანი გერმანულიდან ძ. ჩარკვიანისა).

კრიტიკის განყოფილებაში წარმოდგენილია ლ. კაჭარავას „პოეტური ტრადიციები და ახალი ამოცანები", გ. ხუხაშვილის „ორი ახალგაზრდა მწერლის პროზა" და ალ. წერეთლის „კოლხეთის ბერძნული კოლონიზაციის საკითხისათვის". წიგნების მიმოხილვის განყოფილებაში დაბეჭდილია ე. გუგუშვილის, ბ. ხარანაულის, ო. პაჭკორიას, გ. ბათიაშვილის და გ. ქავთარაძის რეცენზიები.

„ლიტერატურნაია გრუზია" № 3

„ლიტერატურნაია გრუზიას" მარტის ნომერში პოეზია წარმოდგენილია გ. ლეონიძის, შ. აფხაიძის, ა. კალანდაძის ნაწარმოებებით და მათი მთარგმნელის რუსი პოეტი ქალის ელენე ნიკოლაევსკაიას ლექსებით. აქვეა დაბეჭდილი ვერა შუბლაძის და ე. კვიტაიშვილის ლექსები (თარგმანი რ. კაზაკოვასი და ვ. პრიხოდკოსი). ჟურნალი აქვეყნებს ქ. ლორთქიფანიძის მოთხრობას „გზა [illegible] დალია" (თარგმანი ე. ფეიგინისა), ს. კლდიაშვილის „მარტოობის" დასასრულს (თარგმანი ქ. კორინთელისა), ე. მაისურაძის მოთხრობას „უკანასკნელი შეხვედრა" (თარგმანი ნ. მიქავასი) და ს. კინწურაშვილის ნარკვევს „თავისუფლების კენტელზე".

კრიტიკის განყოფილებაში მოთავსებულია ნ. ტიხონოვის — „შეხვედრა რუსთაველთან", ალ. ბარამიძის — „მარი, როგორც რუსთველოლოგი", ა. ვოლკოვის „კრიტიკოსი — კომუნისტი". განყოფილებაში „ხელოვნება" მოთავსებულია ე. გუგუშვილის „თამარ ჭავჭავაძე", ლ. ვოლინსკის „ფიქრები გამოფენაზე". განყოფილებაში „ჩვენი ინტერვიუ" დაბეჭდილია თ. ბერიძის „საუბრები ქართულ ენაზე".

ქართული თქმულება ლიტვურ ენასა და სურათებში

ამას წინათ ლიტვურ ენაზე ვილნიუსში, ცალკე წიგნად გამოვიდა უფროსი თაობის ლიტველი მწერლის ანტანას ვენცლოვას დამუშავებული ქართული ხალხური ლეგენდა „დაწყევლილი ბერები".

ვენცლოვა 1906 წელს ნამყოფია საქართველოში და საერთოდ კავკასიაში. ეს ლეგენდა, სხვა თქმულებებთან ერთად, არაერთგზის იყო გამოცემული ლიტვაში. 1963 წელს „ნაკადულის" მიერ ჩვენშიაც გამოიცა „კავკასიური ლეგენდები", რომელიც ქართულად თარგმნილია ელ. მარკმანის მიერ.

„დაწყევლილი ბერების" ახალი მდიდრული გამოცემა ყველა თვალსაზრისით მისასალმებელია. იგი პოლიგრაფიულადაც სანიმუშოდ არის შესრულებული და უხვადაც არის დასურათებული ლიტველ მხატვარ ზიგუტე ვალიუვიენეს მიერ.

წიგნი დიდი ფორმატისაა (60×90), მაგრამ სულ 35 გვერდს შეიცავს. აქედან 15 გვერდი ილუსტრაციებია და გაფორმებას აქვს დათმობილი. ისე რომ, მხატვარი ამ ლეგენდის თითქმის სრულ ფერწერულ ვარიანტს გვთავაზობს.

ფერისა და ფორმის ასეთი [illegible] ძალიან მეტყველი და ერთიანი შთამბეჭდავი გამოდის. სითამამით განწყობილებასაც ჰქმნის.

მხატვარი ვალიუვიენე ფრიად თავისებურ ეფექტსა და [illegible] ამჟღავნებს. კონტრასტული ფერები და [illegible] პლასტიკა, თუ ასე შეიძლება ითქვას, „ბერების" [illegible]. იგი ძველ ლეგენდას ახლებურად აშინაარსებს, ხატოვან [illegible] და [illegible]. ეს ლიტველი და ფერი ქართულ სინამდვილეში სრულიად მოულოდნელ მძლავრ ემოციას აღძრავს. იგი მხატვრის უღრმეს გამარჯვებად მიგვაჩნია. [illegible] ხალხურ თემაზე ბალტიისპირეთის სერიათაგანი წიგნი კიდევ ერთი ნათელი მოწმობაა ქართულ-ლიტვური ლიტერატურისა და ხელოვნების ურთიერთობაში.

ლევან გოთუა



„დაწყევლილი ბერების" ილუსტრაცია.

რაიონული გაზეთის ფურცლებზე

„[illegible] სამშობლოს, კიდევ მწყურია და მის სიყვარულს დავუმწყემსებ" — საქართველოს სახალხო პოეტის გიორგი ლეონიძის ამ სტრიქონებით იხსნება სარაიონთაშორისო გაზეთ „სამგორის" ლიტერატურული გვერდი, რომელიც გიორგი ლეონიძეს ეძღვნება. აქ დაბეჭდილია პოეტისადმი მიძღვნილი წერილები და ლექსები და თვით პოეტის ახალი ლექსები.

გაზეთმა ტრადიციად აქცია ლიტერატურული გვერდები. მათში ცნობილი მწერლების ნაწარმოებებთან ერთად იბეჭდება ახალგაზრდა ავტორების შემოქმედების ნიმუშები. ეს არის გულწრფელი სიმღერები სამშობლოზე, ხალხთა ძმობაზე, სწავლასა და შრომაზე.

უკანასკნელ ხანში გაზეთმა შემოიღო გვერდი „ფოლკლორულ-შემკრებლობითი ლაშქრობა", რომელშიც ქვეყნდება ხალხური მთქმელების ლექსები, ზღაპრები, ანდაზები, გამოცანები.

ნიკო მარისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია

გაიმართა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის მორიგი, XXV წლიური სამეცნიერო სესია, რომელიც მიეძღვნა აკად. ნ. მარის დაბადების 100 წლისთავს.

სესია შესავალი სიტყვით გახსნა ინსტიტუტის დირექტორმა, საქართველოს სახალხო პოეტმა გიორგი ლეონიძემ. მან აკადემიკოსი ნ. მარი დაახასიათა, როგორც ჩვენი დროის უდიდესი მეცნიერი, რომელსაც უთვალსაჩინოესი დამსახურება მიუძღვის კავკასიოლოგიისა და, კერძოდ, ქართველოლოგიის განვითარებაში.

— შეიძლება გადაჭრით ითქვას, — განაცხადა აკად. გ. ლეონიძემ, — რომ ნიკო მარი და მისი დაულალავი, მრავალმხრივი და ღრმა მეცნიერული საქმიანობა რომ არ ყოფილიყო, დღეს ჩვენში აღმოსავლეთმცოდნეობა, კავკასიოლოგია, ქართველოლოგია, მთელი ძველი ქართული მწერლობის და განსაკუთრებით „ვეფხისტყაოსნის" პრობლემების კვლევა ასეთ მაღალ მეცნიერულ დონეზე არ იქნებოდა აყვანილი. ნიკო მარი იყო დიდი ერუდიტი-ენათმეცნიერი, ლიტერატურათმცოდნე, ტექსტოლოგი, ღრმა და ორიგინალური მოაზროვნე. ამასთან, იგი იყო პოეზიის გატაცებული მოყვარული და ნატიფი ლიტერატურული გემოვნების ადამიანი. ყოველივე ეს, შეერთებული დიდ მეცნიერულ ინტუიციასთან, არის მიზეზი მეცნიერულ კვლევა-ძიებაში იმ დიდი მიღწევებისა, რომელიც აკადემიკოსმა ნიკო მარმა მემკვიდრეობად დაგვიტოვა. დღევანდელი სესია კიდევ ერთი გამოხატულებაა მისი დიდი ღვაწლის აღიარებისა და აკადემიკოს ნიკო მარისადმი ჩვენი პატივისცემისა.

სესიაზე მოსმენილ იქნა ნიკო მარის მეცნიერული მემკვიდრეობის საკითხებისადმი მიძღვნილი სამი მოხსენება: აკადემიკოს ალ. ბარამიძისა — „ნიკო მარი — რუსთველოლოგი", ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის ი. მეგრელიძისა — „ნ. მარი — [illegible] მკვლევარი" და ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატების მ. გუგუშვილის და ლ. ძოწენიძის — „ნ. მარის მიერ „ვეფხისტყაოსნის" ტექსტის შესახებ დაწერილი გამოუქვეყნებელი შრომები". მათ აღნიშნეს, რომ „ვეფხისტყაოსნის" ტექსტის ნ. მარისეული წაკითხვა უმრავლეს შემთხვევებში მეცნიერულად დასაბუთებულია და აუცილებელია მათი გათვალისწინება „ვეფხისტყაოსნის" მომავალ აკადემიურ გამოცემაში.

ქართული საბჭოთა ლიტერატურის თეორიის და პრაქტიკის საკითხებს მიეძღვნა მოხსენებები — ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატის ბ. დობორჯგინიძისა — „ანთროპომორფიზმი, როგორც მხატვრული გამოხატვის ფორმა", ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის გ. ციციშვილისა — „ლიტერატურათა ურთიერთმოქმედების ფორმები და მათი კვლევის მეთოდოლოგია", შ. გვეტაძის — „ნიკო ლორთქიფანიძის ნოველათა მხატვრული თავისებურება", ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის გრ. ხერხეულიძისა — „გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის ზოგიერთი ნიშანთვისება", [illegible] იმედაშვილისა — „სახე და ხასიათი მიხეილ ჯავახიშვილის მოთხრობებში" და ხ. [illegible] „ქართული თანამედროვე პროზის რუსულად თარგმნის ზოგიერთი საკითხი".

სესიაზე მოსმენილ იქნა რამდენიმე მოხსენება XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიის საკითხებზე. გ. აბაშიძის მოხსენების თემა იყო „ანტონ ფურცელაძის ადგილი XIX საუკუნის ქართული ლიტერატურული კრიტიკის ისტორიაში", ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის ა. გაჩეჩილაძის მოხსენება მიეძღვნა ი. ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანს", ხოლო თ. ფირალიშვილის მოხსენებაში გაშუქებული იყო რამდენიმე უცნობი ეპიზოდი აკაკი წერეთლის ცხოვრებისა, რომლებიც ცხადყოფენ, რომ დიდ ქართველ პოეტს აქტიური მონაწილეობა მიუღია აჭარელთა აჯანყებაში (1875—1877 წ. წ.), რომლის მიზანიც აჭარის საქართველოსთან შემოერთება იყო.

ძველი ქართული მწერლობის საკითხებს მიეძღვნა მოხსენებები: ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის ნ. მახათაძისა — მე-18 საუკუნის პეტერბურგის ქართული კულტურული კერის შესახებ, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის შ. ონიანისა — გრიგოლ ხანძთელის საწელიწდო იადგარზე და ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის ი. ლოლაშვილისა — „ეფრემ მცირისა და იოანე პეტრიწის ურთიერთობისათვის".

სესიაზე მოხსენებები წაიკითხეს აგრეთვე ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატმა ვ. მაცაბერიძემ („კ. გვარამაძე — სახალხო წიგნების შემდგენელ-გამომცემელი") და ნ. კილანავამ („გაზეთ „დროების" პირველი მეთაური წერილის ავტორი").

მოხსენებათა გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს აკადემიკოსმა ა. ბარამიძემ, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორმა მ. შენგელიამ, პროფესორებმა ს. ყუბანეიშვილმა, მ. დუდუჩავამ, მ. ჩიქოვანმა, ხ. კაკაბაძემ, [illegible], ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა [illegible], ბ. ჟღენტმა, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატებმა ჟ. [illegible], ვ. ზაქაშვილმა და სხვ.

სოხუმსა და ქუთაისში

სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის აფხაზური დრამის კოლექტივში ორი სადიპლომო სპექტაკლი მზადდება. ლენინგრადის თეატრალური ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტის სტუდენტი მ. მარშანია დასადგმელად ამზადებს დრამატურგ რ. [illegible] პიესას „[illegible]" (მხატვრული გაფორმება ე. კოტლიაროვისა). მზადდება აგრეთვე ა. არბუზოვის „ჩემი საბრალო მარატი". ამ სპექტაკლით დიპლომს დაიცავს თბილისის თეატრალური ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტის სტუდენტი თ. შონია. მხატვრულ გაფორმებაზე მუშაობს თ. ქვანია.

ნ. მიქაშავიძე

ლადო მესხიშვილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო თეატრმა განიხილა და დასადგმელად მიიღო ამირან აბშილავას ორნაწილიანი ჰეროიკული დრამა „ტეხური ცისფერი მდინარე...", პიესა ეძღვნება საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავს.

პიესაში ცხოვრებისეული სიმართლით ასახულია ჩვენი დროის მნიშვნელოვანი მოვლენები.

სპექტაკლის დადგმას უხელმძღვანელებს საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი აკაკი ვასაძე.

გ. რიონელი

ყაზახეთის სახელმწიფო პრემიები

ყაზახეთში ლიტერატურისა და ხელოვნების შემდგომი განვითარებისა და ლიტერატურისა და ხელოვნების თვალსაჩინო ნაწარმოებების წახალისების მიზნით ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით დაწესდა ყაზახეთის სსრ ყოველწლიური ექვსი სახელმწიფო პრემია.

მათგან ორი — აბაის სახელობის პრემია ლიტერატურის ნაწარმოებებისათვის (პროზა, პოეზია, დრამატურგია, საბავშვო ლიტერატურა, მხატვრული კრიტიკა); ერთი კურმანგაზის სახელობის პრემია — მუსიკალური ნაწარმოებებისა და საკონცერტო საშემსრულებლო მოღვაწეობისათვის, ორი კულიაშ ბაისეიტოვას სახელობის პრემია — თეატრის დარგში და კინოხელოვნებაში წარმატებებისათვის, ერთი პრემია — სახვითი ხელოვნების ნაწარმოებებისათვის (ფერწერა, ქანდაკება, გრაფიკა და გამოყენებითი ხელოვნება).

პრემიების მინიჭება მოხდება ყოველწლიურად, ყაზახეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის დაარსების დღისათვის. პირველი პრემიები 1966 წელს მიენიჭებათ 1965 წელს შექმნილი ნაწარმოებებისათვის.

ახალი წიგნები

„ლიტერატურა და ხელოვნება"

მიხეილ მრევლიშვილი — საბედისწერო მოსახვევი. („ამ წიგნში მოთავსებული მოთხრობები ავტორის ორმოცი წლის ლიტერატურული შრომის შედეგია და ერთად შეკრული პირველად გამოდის ამ სახით" — ვკითხულობთ წიგნის წინასიტყვაობაში. წიგნი შეიცავს ორ განყოფილებას „მოთხრობები" და „თბილისური ნოველები"). რედაქტორი — გრ. [illegible], მხატვარი — გ. ნადირაძე. გვ. 442, ფასი 1 მანეთი და 2 კაპ.

„საბჭოთა საქართველო"

ილია ილფი და ევგენი პეტროვი — თორმეტი სკამი. ოქროს [illegible]. (მთარგმნელები რამაზ კობიძე და [illegible]). რედაქტორი — ა. [illegible], მხატვარი — გ. [illegible]. გვ. 622, ფასი 1 მან. და 39 კაპ.

„ნაკადული"

როინ მეტრეველი — დავით აღმაშენებელი. რედაქტორი — შ. მესხია, მხატვარი — ე. ამაშუკელი. გვ. 116, ფასი 30 კაპ.

ანზორ გვარამია — თოვლიანი მთები. (მოთხრობები). რედაქტორი — ნ. ბეზარაშვილი, მხატვარი — ჯ. ხუციშვილი, გვ. 88, ფასი 16 კაპ.

სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის გამომცემლობა

პ. ქიქავა, პ. სოხაძე — სამჭედლო, სადაც ყალიბდება ახალგაზრდა კადრები. (დიღმისა და მუხრანის სასწავლო საცდელი მეურნეობების გამოცდილების მაგალითზე). რედაქტორი — ა. ნარიმანიშვილი. გვ. 158, ფასი 35 კაპ.

კრიტიკის სექციის სხდომა

შაბათს, 27 მარტს, მწერალთა კლუბში, კრიტიკისა და ლიტერატურათმცოდნეობის სექციის სხდომაზე განხილული იქნება გურამ ასათიანის წიგნები „პოეზია და პოეტები" და „ქართველი ლირიკოსები". მომხსენებელი — გურამ გვერდწითელი.

დასაწყისი დღის 2 საათზე.

რედაქტორი იოსებ ნონეშვილი.
სარედაქციო კოლეგია: ხ. ბერულავა, ა. გომიაშვილი,
ა. მირცხულავა, მიხ. მრევლიშვილი, გ. ნატროშვილი,
ბ. ჟღენტი, ერ. ქარელიშვილი, ს. ჩიქოვანი.

ИНДЕКС 66449

რედაქციის მისამართი: თბილისი, მაჩაბლის ქ. № 13, ტელეფონი — 3-47-10, საქ. კპ. ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 04697